არასამთავრობო ორგანიზაციები - მართლმსაჯულების ადვოკატები A2

კონტრაბანდას ყველა "ებრძვის", პასუხს არავინ აგებს A5

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 1 აგვისტო, 2003 წელი. №208 (420)

ფასი 30 თეთრი

## სენატორ მაკკეინის განცხადება

**ხუთშაბათი, 31 ივლისი ვაშინგტონი**

სრულ მხარდაჭრას ვუცხადებ პარლამენტის ძალისხმევას, რომ მიიღოს ახალი საარჩევნო კოდექსი, რომელიც ასახავს ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის გეგმას, რომელიც მან ამერიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის რანგში წარადგინა.

გასულ კვირას კოდექსი პირველი მოსმენით იქნა მიღებული. მაგრამ აშკარაა საშიშროება იმისა, რომ შემდეგი მოსმენების დროს კოდექსი ან ჩავარდეს ან ისე შეიცვალოს, რომ დაირღვეს მთავარი პრინციპი - ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიები პარიტეტული წესით იყვნენ წარმოდგენილნი, როგორც ეს ბეიკერის გეგმაშია გათვალისწინებული.

მე მხარს ვუჭერ ისეთი საარჩევნო კოდექსის მიღებას, რომელიც სრულად ასახავს ბეიკერის გეგმას. პოლიტიკური პარტიების ან მთავრობის მხრიდან ნებისმიერი მცდელობა, პარიტეტის დარღვევის ხარჯზე უპირატესობა მოიპოვონ საარჩევნო კომისიაში, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ნოემბერში დანიშნული არჩევნების სამართლიანობას.

# ურემი თუ გადაბრუნდება, გზა აღარ გამოჩნდება

## პრეზიდენტის ბლოკმა ბეიკერის ვარიანტი ჩააგდო

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ საქართველოს პარლამენტში ე. წ. "ბეიკერის გეგმას" სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს. ეს გააკეთა ხალხმა, ვინც დღედაღამ ამ გეგმისადმი ერთგულებით იწონებდა თავს. პარლამენტში გამართული კენჭისყრის შედეგებმა აჩვენა, თუ როგორ შეიძლება დასცილდეს ერთმანეთს სიტყვა და საქმე.*

75 მომხრე, 34 წინააღმდეგი, კვორუმი 118, გადაწყვეტილება არ არის მიღებული - სხდომათა დარბაზის ტაბლოზე დაფიქსირებული ამ შედეგის კომენტირებისას, მხოლოდ იმის თქმა თუ არის საჭირო, რომ ბეიკერის მოდელის 75-ვე მხარდამჭერი ოპოზიციური ბანაკის წარმომადგენელია.

გაგრძელება A2 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*შეხმატკბილებულმა ალიანსმა - "აღორძინება"-ხაზარაძემ - ბეიკერის ვარიანტი ჩააგდო.*

## გადამწყვეტ შეტაკებამდე რამდენიმე საათით ადრე...

*გუშინდელი დღის პირველი ნახევარი პარლამენტში უჩვეულოდ წყნარი აღმოჩნდა. დეპუტატებმა არც დათქმული კონსულტაციები გამართეს. თუმცა, პოლიტიკური სპექტრი გუშინ პასიური ნამდვილად არ ყოფილა – საპარლამენტო ფრაქციები ცესკო-სთვის ბრძოლის მორიგი რაუნდისთვის ანუ ოთხი საათისთვის დაგეგმილი სხდომისათვის ემზადებოდნენ.*

თამარ მჭედლიშვილი

დღის ორის ნახევარზე საგანგებო ბრიფინგს მართავს "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია. იგი პარლამენტში შექმნილ კრიზისსა და ცესკო-ს დაკომპლექტების ბეიკერისეული მოდელის ბლოკირებაში უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ქვეყანა საგარეო კურსის რადიკალურად შეცვლის რეალური საფრთხის წინაშე დგას.

**"პროსაპრეზიდენტო ფრაქციები მოქმედებდნენ პრეზიდენტ შევარდნაძის მითითებით. დღეს საქმე ეხება არა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებს, არამედ ქვეყნის ორიენტაციასაც. პრეზიდენტმა უარი განაცხადა დემოკრატიის პრინციპებზე და კურსი აიღო ჩრდილოელ მეზობელთან დასაახლოებლად. პრეზიდენტმა ოპოზიციურ პარტიებთან დიალოგზე უარის თქმით საბოლოოდ დაადასტურა, რომ პროცესი იმართება უშუალოდ მის მიერ და სწორედ მან მისცა მწვანე შუქი სახელისუფლებო ფრაქციებს იმისთვის, რაც მათ გუშინდელ სხდომაზე ჩაიდინეს პარლამენტში. მე არ ვიცი, რა უდევს საფუძვლად იმას, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ რამდენიმე დღეში 180 გრადუსით შეცვალა თავისი პოზიცია. მან პირველი მოსმენის შემდეგ გადახედა სიტუაციას და პრაქტიკულად გადაწყვიტა, რომ ყველა რესურსის გამოყენებით თავდაყირა დაეყენებინა ის პროცესი, რომელიც ასე თუ ისე დალაგდა,"** - აცხადებს "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი. მისი აზრით, თუკი პროცესები კვლავ ხელისუფლების მიერ დადგმული სცენარით განვითარდება, მაშინ ოპოზიციას ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ერთობლივი მოქმედების გეგმის შემუშავება მოუწევს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## თითის დაქნევამ ქუთაისის საოლქო სასამართლოზე გაჭრა

"ყოჩაღ საოლქო სასამართლო, შევარდნაძის დავალებებს ასე კარგად თუ ასრულებს", - განაცხადა აღნიშნული ფაქტის კომენტირებისას "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა.

A2

## აფხაზეთის ტერიტორიაზე კრიმინოგენული ვითარება მწვავდება

ქართული მხარის აღშფოთების მიზეზი უფრო მეტად ის გახდა, რომ უსაფრთხოების ზონაში, კრიმინალების გარდა, აფხაზთა ე. წ. ოფიციალური სტრუქტურებიც ყაჩაღობენ.

A2

## ვატიკანი ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას იწყებს

გუშინ ვატიკანმა გლობალური კამპანია წამოიწყო ჰომოსექსუალისტური წყვილებისათვის ქორწინების უფლების მინიჭების წინააღმდეგ.

A5

## თედო ჯაფარიძე: "სკამებისთვის ბრძოლა უმართავ სახეს იღებს"

*საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე ბოლო ათი დღის განმავლობაში ორჯერ გახლდათ მოსკოვში. მისი ვიზიტები დაემთხვა საქართველოს ენერგოსექტორში რუსეთის განსაკუთრებულ გააქტიურებას და გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომის წინა პერიოდს. ამ ვიზიტების მთავარი მიზანი, თავად თედო ჯაფარიძის განცხადებით, იმის გარკვევა გახლდათ, თუ რეალურად რა ინტერესები დგას რუსეთის მიერ დეკლარირებული "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის აღიარების" უკან. "24 საათი" გუშინ ბატონ თედოს ამ ინტერესებზე, საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე, ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე, ბეიკერის ფორმულასა და სხვა საინტერესო საკითხებზე ესაუბრა:*

თამარ ხორბალაძე

**- ბატონო თედო, როგორ ჩამოაყალიბებთ საქართველოს მიმართ რუსეთის ინტერესთა ძირითად ვექტორებს?**

- ეს არის ძალიან რთული გასარკვევი. ძალიან რთულია ის პოლიტიკური ველი, რომელშიც დღეს რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტი მოქმედებს. ძველ ბიუროკრატულ ელემენტს, პუტინის მოსვლასთან ერთად, ახალი ელემენტი დაერთო ძალოვანი სტრუქტურების სახით და ეს საქართველოსთან დაკავშირებით ახალ მიდგომებს წარმოქმნის. ჩვენ უნდა დაგვესვა მათთვის კითხვა: გასაგებია, რომ თქვენ გინდათ მეგობრული და ერთიანი მეზობელი საქართველოს სახით, აღიარებთ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და ა.შ., მაგრამ... რეალურად და კონკრეტულად რა გინდათ? რა სურს რუსეთს საქართველოსაგან?

და, აი აქ, ბევრი ზოგადი განცხადების შემდეგ, იწყება ურთულესი პარტიტურა: ისინი უკვე პირდაპირ გეუბნებიან, რომ აინტერესებთ საქართველოსთან ურთიერთობები ენერგეტიკულ სფეროში, გაზსადენის სფეროში, აინტერესებთ რკინიგზა, როგორც კომერციული ელემენტი.

გაგრძელება A3 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

*"შესაძლოა, იმ ზომამდე მივიდეთ, რომ სკამზე კი დაჯდეს ვიღაცა, მაგრამ ქვეყანა აღარ იყოს."*

## "თელასი" რუსეთის საკუთრებაა

*მიუხედავად ქართული პოლიტიკური წრეების მძაფრი პროტესტისა, "ეი-ი-ესსა" და "რაო ეეს როსსიის" შორის საიდუმლო გარიგება მაინც შედგა. "თელასი" უკვე ოფიციალურად გადაეცა ჩუბაისის ენერგოგიგანტს. გუშინ საღამოს "ეი-ი-ეს სილკ-როუდის" მენეჯერმა, "ეი-ი-ეს კორპორაციის" ვიცე-პრეზიდენტმა ჯონ ჰეიფეკერმა ერთდროულად სამი განცხადება გააკეთა. პირველი: მან ოფიციალურად დაადასტურა ინფორმაცია "თელასის" აქციათა 75-პროცენტიანი პაკეტის "რაო ეეს როსიისთვის" მიყიდვის თაობაზე; მეორე: მან განაცხადა, რომ "ეი-ი-ეს კორპორაციის" გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ის "თელასის" აქციების გაყიდვას გეგმავს, საქართველოს პრეზიდენტისთვის, უკვე ერთი წელია, ცნობილია; მესამე: მისივე თქმით, თურმე "ეი-ი-ეს კორპორაცია" უკვე ერთი წელია, "თელასის" აქციათა მომავალი მფლობელის ვინაობას განიხილავდა, მაგრამ ქართულ ფინანსურ წრეებში ეს თემა საერთოდ არ გაჟღერებულა. საქართველოს მთავრობა კი ძველებურად ირწმუნება, რომ ის ფაქტის წინაშე აღმოჩნდა.*

მაია ურუშაძე

ჯონ ჰეიფეკერის განცხადებით, "თელასის" აქციათა პაკეტი "ეი-ი-ეს კორპორაციამ" "რაო ეეს როსსიის" შვილობილ ფირმას "რაო ნორდიკს" თავისი მოსკოვის ოფისის – ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული "ეი-ი-ეს სილკ როუდის" მიყიდვის გზით გადასცა. "თელასთან" ერთად, "რაოს" შვილობილი კომპანიის ხელში აღმოჩნდა თბილსრესის მე-9 და მე-10 ენერგობლოკები, ჰესები - ხრამი-1 და ხრამი-2, ასევე რუსეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის საგანგებოდ შექმნილი "ეი-ი-ეს ტრანსენერჯი". ნიშანდობლივია, რომ "ეი-ი-ეს სილკ როუდის" საკუთრებაში იყო არა მხოლოდ ქართული, არამედ დსთ-ს სივრცის სხვა აქტივებიც, მათ შორის - ყაზახეთის რამდენიმე ელექტროსადგური და უკრაინის ელექტროგამანაწილებელი ქსელი.

გაგრძელება A4 გვერდზე

# აქ ჰარი პოტერის ჯადოქრობაც უძლურია




## ბალუაშვილი სამხილებს კიდევ სამი კვირა მოაგროვებს

გიორგი გახელაძე

ედუარდ შევარდნაძე, სავარაუდოდ, დღეს მოაწერს ხელს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების კანონპროექტს, მოარულად სეკვესტრს რომ უწოდებენ. პარლამენტში განსახილველად კი, ამ დოკუმენტს მომავალ ორშაბათს წარადგენენ. ხარჯები 90 მილიონი ლარით მცირდება და ყველაზე მეტად თავდაცვის სამინისტროს შეეხო შეკვეცა – რვა მილიონი ლარი. არც სხვა ძალოვანებს გამოუვიდათ ვაჭრობა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## აზერბაიჯანში თავისუფალ მედიასა და ოპოზიციაზე ზეწოლა ძლიერდება

*15 ოქტომბერს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ამ ფონზე მმართველი პარტიის პოლიტიკა ოპოზიციისა და პრესის მიმართ კიდევ უფრო აგრესიული გახდა.*

რევაზ ბახტაძე

ჰეიდარ ალიევი საზოგადოების წინაშე, უკვე რამდენიმე კვირაა, არ გამოჩენილა. აზერბაიჯანის ხელისუფლების ინფორმაციით, 8 ივლისიდან პრეზიდენტი მკურნალობის ინტენსიურ კურსს ანკარას სამხედრო ჰოსპიტალში გადის. მათივე თქმით, პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა "ნორმალურია" და იგი მალე ბაქოში დაბრუნდება.

თუმცა, აზერბაიჯანულმა და უცხოურმა პრესამ სრულიად საპირისპირო ინფორმაცია გაავრცელა. აზერბაიჯანის ოპოზიციურმა გაზეთმა "იენი მუსავათმა" 20 ივლისს სტატია გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, მოხუცი პრეზიდენტი კომაში ჩავარდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | ☼ |
| ბათუმი | 31 | ☼ |
| ქუთაისი | 32 | წვიმა |
| სოხუმი | 31 | ღრუბელი |
| გორი | 33 | ☼ |
| ცხინვალი | 28 | წვიმა |
| თელავი | 33 | ☼ |
| ბოლნისი | 34 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.4625 |
| გირვანქა სტერლ | 3.4452 |
| რუბლი | 0.0705 |

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 ამბები A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# პრეზიდენტი ყველას ემალება



დებორა ჯონსის და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა.

საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ ინგლისის ელჩი დებორა ბარნს ჯონსი გუშინ მიხეილ სააკაშვილს საკრებულოში ეწვია. როგორც დახურული შეხვედრიდან გამოსულმა საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, დებორა ჯონსმა შეშფოთება გამოთქვა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების მიღების გაჭიანურების გამო. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ თუ ხელისუფლება ბეიკერის ვარიანტს ზურგს შეაქცევს, საქართველო დაკარგავს პარიზის კლუბისა და სავალუტო ფონდის მხარდაჭერას და სრულ იზოლაციაში მოხვდება.

**"ხელისუფლების სახელით ხაზარაძე და რჩეულიშვილი ლაპარაკობენ, პრეზიდენტი კი ემალება ოპოზიციას, პარლამენტს, ელჩებს, თეთრ სახლს და საკუთარ თავსაც. მან კარგად უნდა იცოდეს, რა მოჰყვება ბეიკერის ვარიანტის მიუღებლობას,"** – აღნიშნა სააკაშვილმა. მისი თქმით, ინგლისის ელჩთან გუშინდელი შეხვედრა თავად ელჩის ინიციატივა იყო. "ნაციონელების" ლიდერი აცხადებს, რომ იგი კვლავაც გააგრძელებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრებს.

*24 საათი*

# გადამწყვეტ შეტაკებამდე რამდენიმე საათით ადრე...

პირველი გვერდიდან

თავის შეფასებებში საკმაოდ რადიკალურია ქართველი "ლეიბორისტების" ლიდერი შალვა ნათელაშვილიც, რომელიც აცხადებს: **"ძალზე ცუდი პოლიტიკური მომავალი ელოდებათ იმ პარტიებს, რომლებიც პარლამენტში ცესკო-ს დაკომპლექტების განსხვავებულ კანონს მიიღებენ... ისინი ამით ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაიკიდებენ."**

სწორედ ამ დროს "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე, დიდი ბრიტანეთის საელჩოს ინიციატივით, საელჩოს წარმომადგენელს როდერიკ მაკენას ხვდება; ისინი ცესკო-ს დაკომპლექტებასა და მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობენ. დიდი ბრიტანეთის საელჩოს პოზიცია ცალსახაა: მაკენა "აღორძინებას" არჩევნების ბოიკოტირების შესახებ შესაძლო გადაწყვეტილების შეცვლას ურჩევს და აცხადებს, რომ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების გარანტიებს ვერ შექმნის.

გუშინვე ირკვევა, რომ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი შეშფოთებულია საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პროცესების გამო.

ამის მიუხედავად, სახელისუფლებო ფრაქციები პოზიციებს არ ცვლიან. არ იცვლება პრეზიდენტის დამოკიდებულებაც პარლამენტში მიმდინარე პროცესებისადმი. იგი მოვლენებს გვერდიდან ადევნებს თვალს და პროცესებში აქტიურ ჩართვას არ აპირებს.

სწორედ ასეთი პოლიტიკური ფონი იყო შექმნილი დღის ოთხი საათისთვის. ანუ იმ დროისთვის, როცა პარლამენტში მორიგი შეტაკება უნდა დაწყებულიყო.

# აფხაზეთის ტერიტორიაზე კრიმინოგენული ვითარება მწვავდება

საინფორმაციო სააგენტო "მედია-ნიუსის" ცნობით, გუშინწინ ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში აფხაზ სეპარატისტთა საბაჟო სამსახურის სამმა თანამშრომელმა ამ სოფლის მაცხოვრებლის კუთვნილი "ჟიგულის" მარკის ავტომანქანის გატაცება სცადა, მაგრამ ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ და გატაცებული მანქანის გალის ტერიტორიაზე გადაყვანა ვერ შეძლეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აფხაზებმა ხურჩაში ვინმე დავით ქარდავას მეშვეობით შეაღწიეს, რომელიც მანამდე გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში დაატყვევეს და აიძულეს, რუსი სამშვიდობოების პოსტის გვერდის ავლით გადაეყვანა ისინი ხურჩაში.

მომხდართან დაკავშირებით პრეტენზია ქართულმა მხარემ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე გამოთქვა და ამ ფაქტის გამოძიება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედ ოთხმხრივ საგამოძიებო კომისიას მიანდო.

ქართული მხარის აღშფოთების მიზეზი უფრო მეტად ის გახდა, რომ უსაფრთხოების ზონაში, კრიმინალების გარდა, აფხაზთა ე. წ. ოფიციალური სტრუქტურებიც ყაჩაღობენ. აფხაზთა მხარემ ტრადიციულად უარყო ბრალდება, თუმცა ქართულ მხარეს განუცხადა, რომ, თუ დამნაშავეებს ფაქტზე წაასწრებენ, შეუძლიათ ადგილზევე გაუკეთონ ლიკვიდაცია.

ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალმა ვალერი ჯაფარიძემ სეპარატისტთა ეს განაცხადი ხუმრობად მიიღო და მათ ამ ფაქტის მოკვლევა სთხოვა. აფხაზები ქართულ მხარეს გამოძიებაში დახმარებას დაჰპირდნენ. თუმცა, მათ საკუთარი პრობლემებიც ბევრი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ქართული საინფორმაციო წყაროებით გავრცელებულ ცნობას, აფხაზეთის ტერიტორიაზე კრიმინოგენული ვითარების გაუარესების შესახებ და ამგვარი განცხადებების გაკეთების მიზეზად აფხაზეთში ჩასვლის მსურველი ტურისტებისა და დამსვენებლების დაშინების მცდელობას ასახელებს, ფაქტია, რომ აფხაზეთში მომხდარი დანაშაულების შესახებ ინფორმაციას რუსული წყაროებიც ავრცელებენ. სწორედ რუსულ ინტერნეტ-საიტებზე გაჩნდა ცნობა სოჭი-ახალი ათონის მარშრუტით მოძრავ ტურისტულ ავტობუსზე ყაჩაღური თავდასხმის შესახებ. ხოლო ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორიდან სამი ადამიანის გატაცების თაობაზე ინფორმაცია გუშინ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე თავად აფხაზებმა გააკეთეს. მათი თქმით, ცნობილია, რომ გატაცებულთაგან ერთი ქართველი, ერთი სომეხი და ერთი გააფხაზებული რუსია.

გუშინვე ამ ფაქტის გამოძიების დავალება მიიღო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედმა ოთხმხრივმა საგამოძიებო კომისიამ. გატაცებასთან დაკავშირებით გამოძიებას სეპარატისტული უშიშროების სამსახურიც აწარმოებს.

# დსთ-ელი მეთაურები კიევში 20-ზე მეტ საკითხს განიხილავენ

სექტემბერში უკრაინის დედაქალაქში ჩატარდება დსთ-ს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების სხდომა, რომელზეც განიხილავენ 20-ზე მეტ საკითხს შემდგომი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ.

სხდომის დღის წესრიგში შეტანილია შეთანხმებათა პროექტები „სატრანსპორტო საშუალებებზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ", „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ", „ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ფარგლებში საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბებისა და გაცვლის საქმეში თანამშრომლობის შესახებ" და სხვა.

მთავრობათა მეთაურები განიხილავენ, აგრეთვე, მოხსენებას დსთ-ს სივრცეში თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბების თაობაზე. **მედია-ნიუსი**

# ურემი თუ გადაბრუნდება, გზა აღარ გამოჩნდება

პირველი გვერდიდან

სამთავრობო ფრაქციების ქმედებას გამართლება, ფაქტობრივად, არა აქვს: ბეიკერის გეგმის "ტარანზე" ისინი ("აღორძინებასთან" და "მრეწველებთან" ერთად) მხოლოდ იმ მიზნით წავიდნენ, რომ რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას ("გაერთიანებულ დემოკრატებს", "ნაციონალურ მოძრაობას", "ერთობას" და "ტრადიციონალისტებს") საარჩევნო ადმინისტრაციებში წარმომადგენელი არ ჰყოლოდა. ამ ნაბიჯით მათ დათმეს იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ვიწროპარტიულ კონკურენციაში უკეთესი პოზიციის მიღებაა - სასწორზე დადეს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟი და საფრთხის წინაშე დააყენეს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივა.

სახელისუფლებო გუნდის მიერ მსოფლიო საზოგადოების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმით აღშფოთებულ ზურაბ ჟვანიას ისღა დარჩენია, შავ იუმორს მიმართოს: "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი "მადლობას უხდის" საქართველოს პრეზიდენტს იმისთვის, რომ მან პირნათლად შეასრულა ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები.

აღშფოთებასთან ერთად, შეშფოთებას გამოხატავს "ახალი მემარჯვენეების" ხელმძღვანელი დავით გამყრელიძე. აღელვების საფუძველს მას აძლევს სენატორ მაკკეინის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ბეიკერის გეგმით გათვალისწინებული პარიტეტის პრინციპის დარღვევა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას. ხოლო იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს ამერიკელებისთვის არადემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლება, გამყრელიძეს ზედმეტად მიაჩნია.

ოპოზიცია ერთხმად მიიჩნევს, რომ ბეიკერის მოდელის ჩაგდებაში მთავარი "დამნაშავე" ედუარდ შევარდნაძეა, რომელმაც თავისი განზრახვა ვიტალი ხაზარაძისა და მისი სხვა მომხრეების ხელით აღასრულა. ამიტომ, კენჭისყრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებებში აქცენტი სწორედ საქართველოს პრეზიდენტის პერსონაზეა გადა-



ოპოზიციამ ორი დღე და ერთი ღამე იბრძოლა "ბეიკერის ვარიანტის" და ქვეყნის პრესტიჟის გადასარჩენად.

ტანილი.

**"დღეს შევარდნაძემ ბოლო წვეთი შემატა საქართველოს უბედურებას და ჩვენს ქვეყანას სტრატეგიული პარტნიორი დააკარგვინა,"** - მიიჩნევს "ნაციონალი" დეპუტატი აკაკი ბობოხიძე.

**"შევარდნაძემ საბოლოოდ დაანგრია მითი იმის შესახებ, რომ საქართველო დასავლური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოა,"** - აღნიშნავს "ტრადიციონალისტი" გერმანე ფაცაცია, რომელიც ძალიან წუხს იმის გამო, რომ **"საქართველოს საშინელი დროება დაუდგება".**

შანსი იმისა, რომ პოლიტიკური "ჟამიანობის" პერიოდი თავიდან იქნას აცილებული, ძალიან მცირეა. ეს, სავარაუდოდ, მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ პარლამენტი დღეს მხარს დაუჭერს მეორე მოსმენით ჩავარდნილი კანონპროექტის ალტერნატივას. ამის ალბათობა კი ძალზე მცირეა, რადგან "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის ინიციატივა გულისხმობს, რომ საარჩევნო კომისიებში ავტონომიებისთვის მოიძებნოს ადგილი და იგი სახელისუფლებო კვოტაში იყოს გათვალისწინებული.

როგორ "აღაფრთოვანებს" ეს კანონპროექტი სამთავრობო ფრაქციებს, ადვილი წარმოსადგენია.

■ ■ ■

30-31 ივლისს პარლამენტში განვითარებული მოვლენების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მორალურ და ფსიქოლოგიურ უპირატესობას მთლიანად ოპოზიცია დაეუფლა. ჯერ ერთი, ყველაფერს ნელ-ნელა თავისი სახელი ერქმევა: უსისხლო "ბართლომეს ღამემ" და გუშინდელმა დღემ ბევრს ნათლად დაანახა, რომ სიცრუეა "აღორძინების" მტკიცება, თითქოს, მხოლოდ ის არის "ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალა", სინამდვილეში ის სამთავრობო გუნდთან უნისონში მოქმედებდა.

თუმცა, ამ ორი დღის მთავარი პოლიტიკური შედეგი, ალბათ, მაინც ის არის, რომ ოპოზიცია საბოლოოდ დარწმუნდა - პრეზიდენტის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება და ილუზიაა, ვითომ, თუ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების პროცესებს ან საქართველოს საერთაშორისო იმიჯს საფრთხე დაემუქრება, შევარდნაძე უკან არაფერზე დაიხევს და სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით იმოქმედებს.

ოპოზიციასთან ერთად, გარკვეულ დასკვნებს "ახალი ერთობის" (სახელისუფლებო გუნდი, "აღორძინება", "მრეწველები") ლიდერებიც გააკეთებენ. ფეხბურთში წაგებული გუნდის მწვრთნელივით, ისინი, ალბათ, რამდენჯერმე დაატრიალებენ 30-31 ივლისის საპარლამენტო ბატალიების ამსახველ კადრებს და დაშვებული შეცდომების პოვნას შეეცდებიან. თუმცა, საეჭვოა, ბოლომდე ობიექტურები იყვნენ: განცდილი მორალური მარცხის მიზეზებს ისინი "გარეთ" დაუწყებენ ძებნას და მოისურვებენ, ხელი სხვას შეაწმინდონ. მითუმეტეს, განტევების ვაცის "კანდიდატურის" მოძიება არც ისე ძნელია: საპარლამენტო უმრავლესობისა და "აღორძინების" ზოგიერთი ლიდერი ღია ტექსტით უკვე ემუქრება კიდეც პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ "ყველაფერზე პასუხს აგებინებს".

სხვა ყველაფერთან ერთად, 30 ივლისის საპარლამენტო ღამისთევამ ერთი საჭიროებაც წარმოაჩინა. ამჟამად ყველა პოლიტიკური პარტია საარჩევნო სიებს აკომპლექტებს. "შესაძლებელია", ამ პროცესში გათვალისწინებული იქნას ის, რასაც აქამდე საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება - სიაში შეყვანილი დეპუტატობის კანდიდატის ფიზიკური კონდიციები. კერძოდ, მომავალ პარლამენტარს უნდა შეეძლოს ჩახუთულ სხდომათა დარბაზში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნა, მიკროფონებს შორის მარჯვედ მანევრირება, გაუძლოს უძილობას, შიმშილს და ა.შ, რადგან, არ არის გამორიცხული, რომ ხვალ სწორედ გამძლეობა გახდეს პოლიტიკური წარმატების საწინდარი და არა ცოდნა-განათლება, ჭკუა-გონება, სწორად შერჩეული სტრატეგია-ტაქტიკა.

და კიდევ: ეტყობა, ხალხური სიბრძნის "პოსტულატები" დიდ პოლიტიკაში ზოგჯერ, ვერ "მუშაობს". მაგალითად, დღევანდელ სიტუაციას ნამდვილად არ შეესაბამება ანდაზა, რომ გზა ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩნდება. პირიქით უფროა: თუ საქართველოს პარლამენტი დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღებას ვერ მოახერხებს, რაც ურმის გადაბრუნების ტოლფასი იქნება, მაშინ არა თუ გზა გამოჩნდება, არამედ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ქვეყნის წინსვლა-განვითარების გზა სწორედ ამ ურმით ჩაიხერგოს. თანაც, არ დაგავიწყდეთ, ამ ურმის ერთი ბორბალი უკვე ჰაერშია. დღეს "სამთავრობოების", "აღორძინების" და "მრეწველების" მიერ ერთი ხელის კვრაც საკმარისია.

# თითის დაქნევამ ქუთაისის საოლქო სასამართლოზე გაჭრა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ქუთაისში გაყინული პენსიების გაცემის პროცესი უკვე დაიწყო. ადგილობრივი "ნაციონალები" ამას საკუთარ გამარჯვებად მიიჩნევენ და პენსიების დარიგებას თავად უწევენ ორგანიზებას. ორი დღის წინ კი ანალოგიური პროცესი სამტრედიაშიც დაიწყო. ამ ფაქტის აღსანიშნავად, სამტრედიაში მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა და პენსიონერებს გამარჯვება პირადად მოულოცა. ახლახან კი გაირკვა, რომ "ნაციონალებს" "სამტრედიის ფრონტზე ბრძოლებში" საბოლოო გამარჯვება მიღწეული არა აქვთ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 21 ივლისის განჩინებით აღნიშნული საქმე განსახილველად აბაშის სასამართლოს დაუბრუნდა.

სამტრედიელი პენსიონერებისათვის პენსიების გადახდის გადაწყვეტილება პირველად, 2003 წლის 21 აპრილს სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა. აღნიშნული გადაწყვეტილება კი საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა გაასაჩივრეს. 2003 წლის 8 ივლისს საქმე აბაშის რაიონულმა სასამართლომ განიხილა, მოსარჩელეების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და საქმე განსახილველად ქუთაისის საოლქო სასამართლოში გადააგზავნა. საოლქო სასამართლოში მოსარჩელეების მოთხოვნა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ, ფრიდონ ბასილაიას თავმჯდომარეობით განიხილა. განჩინების მიხედვით ირკვევა, რომ პენსიონერების ადვოკატმა კობა დავითაშვილმა, იმისათვის, რომ სარჩელის განხილვა დროში არ გაწელილიყო, მისი გამარტივებული წესით ანუ ათდღიან ვადაში განხილვა მოითხოვა. ზემოთაღნიშნულმა პალატამ კი დაადგინა, რომ გამარტივებული სამართალწარმოება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და მხოლოდ ერთი მხარის შუამდგომლობა ამისათვის საკმარისი არ არის. **"აბაშის რაიონის სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, მოცემული დავა ადმინისტრაციულია და იგი უნდა განხილულიყო სასარჩელო წარმოების წესით... ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს აბაშის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს განსახილველად"**, - ნათქვამია განჩინებაში.

ასე რომ, აბაშის სასამართლოს ისევ მოუწევს აღნიშნულ საქმეზე მსჯელობა, თანაც "სასარჩელო წარმოების წესით", რომელიც უკვე ათდღიან ვადას აღარ ითვალისწინებს და პროცესი, შესაძლოა, კარგახანს გაჭიანურდეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთავრობის სხდომიდან მოსამართლეებს შევარდნაძემ თითი დაუქნია, არ არის გამორიცხული, რომ "ნაციონალებს" აწ უკვე რამდენჯერმე მოგებულ პროცესზე სერიოზული სირთულეები შეხვდეთ.

**"აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ყოჩაღ საოლქო სასამართლო, შევარდნაძის დავალებებს ასე კარგად თუ ასრულებს"**, - განაცხადა აღნიშნული ფაქტის კომენტირებისას "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა.

# არასამთავრობო ორგანიზაციები - მართლმსაჯულების ადვოკატები

თამარ კაციტაძე

**"ეს მოსამართლეები ჩემი დანიშნულები არიან და მორალური უფლება მაქვს, მოვთხოვო მათ, კანონის თანახმად იმოქმედონ,"** – ამ სიტყვებით ქვეყნის პერზიდენტმა მართლმსაჯულებას თითი დაუქნია.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელნი პრეზიდენტის "მორალურ ბრძანებას", ფაქტობრივად, დუმილით შეხვდნენ. ქართული მართლმსაჯულების ადვოკატობა იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა იკისრეს, რომლებიც ყველაზე აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვეყანაში დამოუკიდებელი და რეფორმირებული სასამართლოს შექმნას.

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა: სამართლებრივი განათლების ასოციაცია –ALPE-მ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და თავისუფლების ინსტიტუტმა პრეზიდენტის "მუქარას" სახელდახელო პრესკონფერენცია მიუძღვნეს.

**"მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომელიც, ჩვენი შეფასებით, სცილდება კონკრეტული სასამართლო პროცესის არსს და სისტემურ საფრთხეს უქმნის ქვეყანაში სამართალწარმოების ფუძემდებლურ პრინციპებს,"** – ამბობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც პრეზიდენტის მხრიდან სასამართლო ხელისუფლების უზურპაციაზე ალაპარაკდნენ.

**"თუ პრეზიდენტი აქამდე ფარულად ერეოდა სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანისას, დღეს ღიად აფიქსირებს საკუთარ სურვილს. შევარდნაძეს თავი ისევ ცეკას მდივანი ჰგონია და იმავე მეთოდით სურს ქვეყნის მართვა. ამის ოფიციალურ დემონსტრირებას კი სწორედ არჩევნების წინ აკეთებს. ანუ მოსამართლეებს მიანიშნებს, რომ რაც მისი სურვილი იქნება, ის უნდა გააკეთონ, რადგან მისი დანიშნულები არიან,"** - აღნიშნა პრესკონფერენციაზე ALPES-ს წარმომადგენელმა გიგი უგულავამ.



არასამთავრობო სექტორი სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის გამო, პრეზიდენტის წინააღმდეგ კანონით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებას აპირებს.

გუშინდელ შეხვედრაზე ენჯეოელებმა, პრეზიდენტის მიერ რამდენიმე თვის წინ მიღებული ის უკანონო განკარგულებაც გაიხსენეს, რომლითაც მან სასამართლო გადაწყვეტილების სრული იგნორირება მოახდინა და სააღსრულებლო ბიუროს მიერ გეოლოგიის ინსტიტუტიდან გამოსახლებული დევნილები უკან დააბრუნა.

**"მაშინ ამ ფაქტს ადეკვატური შეფასება არ მიეცა. სწორედ ამიტომ მეორდება სასამართლო ხელისუფლების იგნორირების ფაქტები,** – აღნიშნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა თინათინ ხიდაშელმა და დასძინა, - **პრეზიდენტმა იმის ორმხრივი აღიარება გააკეთა, რომ თვითონ არის ამ ქვეყანაში ყველაფრის მმართველი. ეს კანონის სრული იგნორირებაა. თუმცა, დიდი ხანია, პრეზიდენტი იმის დემონსტრირებას ცდილობს, რომ თვითონ არის კანონი. შევარდნაძეს კანონი ახსენდება მაშინ, როდესაც თვითონ ემუქრება საშიშროება. ვფიქრობთ, მთავრობის სხდომაზე გამოთქმული მუქარის გამო, შევარდნაძის წინააღმდეგ ყველანაირი კანონიერი მექანიზმი უნდა ამოქმედდეს,"** – ამბობს ხიდაშელი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გუშინდელი პრესკონფერენციით პარლამენტარებსაც მიმართეს და მოითხოვეს, რომ სასამართლო ხელისუფლების მუქარის ანუ პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების გადამეტების გამო, შევარდნაძის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს.

## მოკლედ

# არალეგარულ მიგრანტთა ხელშემწყობი დააკავეს

გუშინ თბილისში უშიშროების სამინისტროს დადგენისა და ძებნის ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს მამუკა მასხარაშვილი, რომელზეც უშიშროების სამინისტრომ ძებნა ექვსი თვის წინათ გამოაცხადა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, მასხარაშვილს, დამნაშავეთა ჯგუფთან ერთად, პასპორტების გაყალბების გზით მოქალაქეები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში არალეგალურად გაჰყავდა.

დადგენილია იმ მოქალაქეთა ვინაობა და ადგილსამყოფელი, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი აღნიშნული ჯგუფის დახმარებით გადაკვეთეს.

სამინისტროს ინფორმაციით, იკვეთება ჯგუფის დანაშაულებრივი კავშირები სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთანაც - მოქალაქეთა საზღვარგარეთის ქვეყნებში გაყვანა სწორედ მათი დახმარებით ხორციელდებოდა.

ამჟამად მიმდინარეობს სამძებრო ღონისძიებები ჯგუფის სხვა წევრებისა და მათი ხელშემწყობების გამოსავლენად.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უზენაესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლოს 2003 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები განიხილა. სისხლის სამართლის კოლეგიის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატების ანგარიშებით კმაყოფილი დარჩა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია. წელს 1 იანვრიდან 1 ივლისამდე უზენაეს სასამართლოში 1.567 საქმე განიხილეს, რაც 276 საქმით მეტია შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთდახმარების სამმართველოს უფროსის გელა ბადრიაშვილის თქმით, მაშველთა კორპუსის ყოფილი ლიდერის გიგა გელაშვილის ისრაელიდან საქართველოში ექსტრადიციაზე თანხმობის შუამდგომლობით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ისრაელის იუსტიციის სამინისტროს წერილი გაუგზავნა. ბადრიაშვილის ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს გელაშვილის მეუღლემ ექსტრადიციის მოთხოვნით 29 ივლისს მიმართა. იუსტიციის სამინისტრო ექსტრადიციის განსახორციელებლად ისრაელიდან ელის პასუხს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამი დღის წინ ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული 28 წლის კობა ფარცხვანია შს სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორიდან თბილისის მე-5 საპყრობილეში სხეულის დაზიანებებით შეიყვანეს. კერძოდ, მას აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები ზურგის არეში, მარჯვენა წინა მხარეზე, მარცხენა მაჯის სახსარზე, ნაკვეთი ჭრილობა მარცხენა იდაყვის სახსარზე. პატიმარი აცხადებს, რომ დროებითი დაკავების იზოლატორში დაზიანებები თავად მიიყენა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „გაერთიანებული ქართული ბანკის" ერთ-ერთ ოფისთან ამავე ბანკის მეანაბრე დარეჯან პაქსაშვილზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებულია ყვარელში მცხოვრები, 47 წლის ივანე ნონიკაშვილი. დაკავებულისაგან პოლიციელებმა გატაცებული თანხის ნაწილი – 1605 ლარი ამოიღეს. ნონიკაშვილის დაკავება შემთხვევიდან რამდენიმე წუთში მოხერხდა. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელები სამნი იყვნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 28 წლის ზუგდიდელი ზვიად ბულია, ძარცვის ბრალდებით, პოლიციელებმა გუშინ დააკავეს. ბულია იმხილება ეკა ბერიშვილისათვის ოქროს ყელსაბამის გატაცებაში. ძარცვა გუშინწინ „დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ბულიას დაკავება ნივთმტკიცებითურთ პოლიციელებმა შემთხვევიდან რამდენიმე წუთში მოახერხეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ნარკოტიკების დამზადებისათვის თბილისელები: 29 წლის არჩილ გოცირიძე და 27 წლის გიორგი ჭანტურია დააკავეს. აღნიშნულმა პირებმა პირადი მოხმარების მიზნით დაამზადეს 28 მილიგრამი ოპიუმის ნაყენი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროში 25 ივლისს დაწყებული პოლიციელთა ატესტაცია 2 ნოემბრის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დროებით შეწყდება. როგორც ცნობილია, ატესტაცია ჯერ შს სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მიმდინარეობს და იგი უკვე გაიარეს სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტისა და პირად შემადგენლობასთან ურთიერთობის სამმართველოების თანამშრომლებმა. ცენტრალური აპარატის შემდეგ, ატესტაციას თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და რეგიონალური პოლიციის განყოფილებების თანამშრომლები ეტაპობრივად გაივლიან. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი**. გაერო-ს უშიშროების საბჭომ ექვსი თვით გაუგრძელა ვადა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიას. 31 ივლისს მიღებულ რეზოლუციაში უშიშროების საბჭო აცხადებს, კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში პროგრესი არ შეიმჩნევა. რეზოლუცია მოუწოდებს მხარეებს, დაიწყონ აფხაზეთის სტატუსის განხილვა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში.

რეზოლუციის თანახმად, გალის რაიონში გაერო-ს ოცკაციან საპოლიციო ქვედანაყოფს შეიყვანენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. გაერო-ს უშიშროების საბჭო წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სოხუმის ხელისუფლება უარს აცხადებს თბილისთან მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე და ორივე მხარეს ჩიხიდან გამოსავლის ძიებისკენ მოუწოდებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის შეფასებით, აფხაზეთის საკითხზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგი რეზოლუცია ადრე მიღებული რეზოლუციებისგან არაფრით განსხვავდება და, შესაბამისად, ქართული მხარე ამ დოკუმენტებისგან სასიკეთოს არაფერს უნდა ელოდოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე არ გამორიცხავს, რომ მისი პოლიტიკური ბლოკის ინიციატივით პარლამენტის თავმჯდომარის საიმპიჩმენტო პროცედურა დაიწყოს. გოგიტიძის თქმით, ბურჯანაძე ბოლო პერიოდში ტენდენციურობით გამოირჩევა, ხშირად არღვევს რეგლამენტს, რითაც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი კანონების პროცედურული დარღვევით მიღებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. "როცა "აღორძინების" ზოგიერთი წარმომადგენელი ჩემთან დაპირისპირებაზე მოდის და "აღორძინების" წყალობით პარლამენტში მოხვედრას მამადლის, ბლოკის შექმნაზე საუბარი შეუძლებელია", - აცხადებს ჯუმბერ პატიაშვილი და "ერთობისა"და "აღორძინების" ალიანსის შექმნის ალბათობას კატეგორიულად უარყოფს. **ექსპრესი**.

■ ■ ■

**თბილისი**. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე მიიჩნევს, რომ თუ პარლამენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ბეიკერისეული ვარიანტის მიღებას ვერ შეძლებს, ეს ფაქტი საქართველოსა და აშშ-ს მომავალ ურთიერთობებზე უარყოფითად აისახება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის სამმართველოში აცხადებენ, რომ დღეისათვის ჩეჩნეთიდან დევნილთა პანკისის ხეობიდან მესამე ქვეყნებში გამგზავრების რეალური პერსპექტივები არ არსებობს და მათი მიღების მზადყოფნა ჯერ არც ერთ ქვეყანას არ გამოუთქვამს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ქართული სარაკეტო კატარღა "თბილისი" ხუთშაბათს დილით ფოთიდან ბულგარეთის მიმართულებით გავიდა, სადაც 3-დან 30 აგვისტომდე მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო სწავლებებში - "Black sea force-2003". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ქართველ სამხედროთა ჯგუფს, რომლის წევრებიც ერაყში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მიზნით, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში გაემგზავრებიან, ამერიკულმა მხარემ საბრძოლო აღჭურვილობა გადასცა. აღჭურვილობაში შედის სახმელეთო ჯარების ფეხოსნებისთვის აუცილებელი ინვენტარი, მათ შორის, ჯავშანჟილეტებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ზნაურის რაიონის ოსურ სოფელ იონჩაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ოსური საგუშაგო ამიერიდან მკაცრად გაკონტროლდება. ოსურ საგუშაგოზე შერეული საშვიდობო ძალების წარმომადგენლები პერიოდულად ინსპექტირებას ჩაატარებენ. ასეთი გადაწყვეტილება ცხინვალში გუშინ გამართულ ქართულ-ოსური ადმინისტრაციების ტრადიციულ შეხვედრაზე მიიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მიუმხრობელ არასამთავრობო ორგანიზაციათა კავშირი" ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სამ კანდიდატურას ასახელებს. "მაოკი" ქართულ საზოგადოებას, პოლიტიკურ სპექტრს და თავად ეუთო-ს, ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე დასამტკიცებლად მუსიკოს ანზორ ერქომაიშვილის, მეცნიერების - ალბერტ თავხელიძის და ნოდარ ამაღლობელის კანდიდატურებს სთავაზობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი" საპროტესტო დემონსტრაციების გამართვას გეგმავენ, თუ პარლამენტი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლის დანიშვნის უფლებას არ მისცემს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** "თავისუფლების ინსტიტუტმა" რუსთავში თავისი რეგიონული ოფისი გახსნა. ამ ორგანიზაციის ლიდერები ქვემო ქართლში ოფისის გახსნას რეგიონის მძიმე კრიმინოგენული ვითარებითა და ეთნიკური მრავალფეროვნებით ხსნიან. **მედია-ნიუსი**.

# თედო ჯაფარიძე: "სკამებისთვის ბრძოლა უმართავ სახეს იღებს"

პირველი გვერდიდან

ისინი გვეუბნებიან, რომ უნდათ, გააკეთონ ფული. პოლიტიკურ იერარქიაში საკმაოდ მაღალ საფეხურზე მყოფი გავლენიანი ჯგუფი თავის ინტერესებს გვისახელებს. ვფიქრობ, რომ ამ ინტერესების ღიად დაფიქსირება უკვე მიღწევაა. თუმცა, ეს უკვე კონკრეტულად თედო ჯაფარიძის ან რომელიმე კონკრეტული უწყების კომპეტენცია აღარ არის - თავად სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს, როგორ მოიძებნოს კომპრომისი, როგორ შენარჩუნდეს ბალანსი, რომლითაც არ შეილახება საქართველოს ინტერესი და, ამავე დროს, ზედმეტი აჟიტირების გარეშე, რუსეთის ინტერესიც დაკმაყოფილებული იქნება. ასეთ სიტუაციაში შესაძლებლობა გვეძლევა, ღიად ვისაუბროთ. მაგალითად, გინდა რკინიგზა? დავიწყოთ კონფლიქტის მოგვარება... ინტერესების შეჯერება პროფესიონალურ დონეზე უნდა მოხდეს და სიტუაცია ამ გზით განიმუხტოს.

**- ბატონო თედო, ბოლო პერიოდში აფხაზეთის საკითხზე რუსეთთან წარმოებული მოლაპარაკებები აშკარად არ გამოიყურება საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ. იგივე სოჭის შეთანხმება გავიხსენოთ: საქართველო თანხმდება რკინიგზის გახსნაზე ლტოლვილთა დაბრუნების სანაცვლოდ; ლტოლვილთა დაბრუნების საქმეში წინსვლა არ არის, რკინიგზის პარალელურად კი უკვე იწყება საზღვაო მიმოსვლა და სულ მალე აღდგება საჰაერო კავშირი რუსეთსა და სოხუმს შორის...**

- თემა რთულია და მტკივნეული. ჩემი პირადი მიდგომა ასეთია: ვეთანხმები ბატონ თამაზ ნადარეიშვილის პოზიციას, რომელიც ამბობს, რომ აფხაზეთის პრობლემა არ არის პრობლემა აფხაზებსა და ქართველებს შორის. თუმცა, ჩემი მიდგომა გარკვეულწილად განსხვავებულიცაა: მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა შევეცადოთ, თუ შევძლებთ, მოლაპარაკებების ხაზი ავწიოთ ოდნავ უფრო მაღლა - დავიწყოთ იმაზე ფიქრი, როგორ შეიძლება დავარეგულიროთ ურთიერთობები რუსეთთან. გავარკვიოთ, რა სურთ მათ. როგორც გითხარით, სწორედ ეს იყო კიდეც ჩემი ბოლო ვიზიტების მთავარი მიზანი. სხვათა შორის, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას კატეგორიულად გვირჩევენ ჩვენი ამერიკელი პარტნიორებიც.

**- თქვენ ამბობთ, რომ უნდა შეჯერდეს ინტერესები. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პუტინის მიერ დამტკიცებული ენერგეტიკული კონცეფცია, რომელიც ენერგეტიკას განიხილავს არა მხოლოდ როგორც ბიზნესს, არამედ როგორც პოლიტიკურ იარაღს, საქართველოში უკვე დიდი წარმატებით ამოქმედდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა, თუნდაც, "გაზპრომთან" დადებული შეთანხმება, ასევე რუსულ "რაო ეეს როსსიი"-ის მიერ "ეი-ი-ეს"-ის აქციების შესყიდვა... არ მიგაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაშიც ეს ყველაფერი საქართველოს ინტერესებს სერიოზულად ლახავს, რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ?**

- თქვენი კითხვის პათოსი და მუხტი ჩემთვის გასაგებია. ამ თემაზე აქ, ამ კაბინეტში ბევრი დისკუსია გაიმართა. მთავარი რა არის, იცით? ფონია რთული, რუსულ-ქართული ურთიერთობის ისტორიაა რთული... აქედან გამომდინარე, ის მეთოდი და ტექნოლოგია, რომელიც ამ დოკუმენტებზე მუშაობისას გამოიყენებოდა - მაგალითად, შეთანხმებაზე "გაზპრომთან" (შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულება ჯერ არ არის გაფორმებული) - ჩვენთვის მიუღებელია. ეს მუშაობა უფრო ტრანსფარენტული და საჯარო უნდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში იმ კითხვებს, რომელიც საზოგადოებაშიც გაჩნდა და მეც გამიჩნდა, შეიძლებოდა ადგილი არ ჰქონოდა.

ეს ის თემებია, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდება.

**- ანუ, თქვენ საფრთხეს ხედავთ?**

- სიმართლე გითხრათ, იმ დოკუმენტში, რომელიც დღეს საჯარო გახდა, დიდ საფრთხეს ვერ ვხედავ, მაგრამ რა არის ამ დოკუმენტის უკან? რა შეიძლება მოხდეს?!.. საერთოდ, მიდგომა ასეთი დოკუმენტებისადმი, საქართველოსთვის ენერგეტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს.

მაგალითად, თქვენ ბრძანეთ თელასის აქციების შესაძლო გაყიდვასა და ამერიკული კომპანიის ჩუბაისის კომპანიით შესაძლო ჩანაცვლებაზე საქართველოში. საშუალო დონის იურისტიც ალმოაჩენს, რომ იგივე ამერიკულ კომპანია "ეი-ი-ეს"-თან თავის დროზე გაფორმებული ხელშეკრულებაც ძალიან არაკვალიფიცირებულად შედგენილი დოკუმენტია. ეს რომ არა, შესაძლოა, მსგავსი პრობლემებიც აღარ შეგვქმნოდა...

სხვათა შორის, ახლა ერთი ისტორია გამახსენდა: ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ, როცა ელჩად ვიწყებდი მოღვაწეობას, "ნეზავისიმაია გაზეტასთან" მქონდა ინტერვიუ და მაშინაც ვთქვი, სათაურშიც გამოიტანეს ეს ფრაზა - "რა უფრო აინტერესებს რუსეთს - ჰქონდეს საქართველოში ბანკი თუ ტანკი?" ჩემი ინტერვიუს ძირითადი ხაზი, რა თქმა უნდა, იყო ის, რომ რუსეთი უფრო დაინტერესებული იქნება, ბანკი ჰქონდეს და მისი ინტერესი კომერციული იყოს, ვიდრე ჰქონდეს ტანკი, რომელიც ვერ ისვრის, ვერ დადის... მაშინ ჩემი რუსი მეგობარი, საკმაოდ გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი დამიკავშირდა და მითხრა: რა არის, რა სისულელე დაგიწერია, რა დილემააო ასეთი?! ჩვენ ბანკიც გვინდა და ტანკიცო...

ჩემთვის ტანკისა და ბანკის დილემა დღესაც ძალიან აქტუალურია. ამიტომ, კულისებში თუ კულისებს მიღმა, დახურულ სივრცეში ჩატარებული მოლაპარაკებები ეჭვებს ბადებს. თუმცა, როგორც სახელისუფლებო უწყების წარმომადგენელს, ეჭვი არ მეპარება დათო მირცხულავას კომპეტენციაში, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: კარგი იქნებოდა, რომ ამ დოკუმენტებს გაევლო უშიშროების საბჭოს უწყებათაშორისი სისტემა და ამის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგ არ გაეგო ხალხს, პოლიტიკოსებს, პარლამენტარებს და ჩვენც; ეს მოლაპარაკებები არ გამხდარიყო პოლიტიკური ქულების დაგროვების საგანი, რასაც, ალბათ დამეთანხმებით, ამ დღეებში ჰქონდა ადგილი.

არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ენერგეტიკა არ არის მარტო დარგობრივი ეკონომიკური სფერო, ენერგეტიკა დიდი პოლიტიკაა.

ნებისმიერ კომპანიასთან მოლაპარაკებებისას - "გაზპრომი" იქნება თუ "შევრონი", რუსული კომპანია იქნება თუ ბანგლადეშის - მთავარია, რომ მისი ინტერესები არ ცდებოდეს კომერციას... პირადად მე, "გაზპრომი" იქნება თუ სხვა, თუ მას ექნება მხოლოდ კომერციული ინტერესი, რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო?!

ამ საკითხებზე ვესაუბრე რუს კოლეგებს, რომლებმაც მითხრეს: გვესმის, რომ თქვენ გაწუხებთ ეს პრობლემები, გახადეთ მოლაპარაკებები ტრანსფარენტული, ღია და შეეცადეთ, მოიხსნათ ეს ეჭვები...

**- მაგრამ, რამდენად სწორი იქნება ამ ეჭვების მოხსნა "გაზპრომის" დსთ-ს სივრცეში მოღვაწეობის გამოცდილებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ ეს რუსეთის სახელმწიფო კომპანიაა, შესაბამისად - რუსეთის სახელმწიფო ინტერესების გამტარებელი?..**

- მე მეტსაც გეტყვით – ეს არის უშუალოდ საპრეზიდენტო კომპანია, სადაც ძალიან მკვეთრად არის დაფიქსირებული რუსეთის პრეზიდენტის ინტერესები. ანუ რუსეთის სახელმწიფო კარგად ჩანს "გაზპრომში" ისევე, როგორც ჩუბაისის კომპანიაში.



ზაურ გალუაშვილის ფოტო

*ჩვენი გასაკეთებელი ჩვენ უნდა ვაკეთოთ - ამბობს თედო ჯაფარიძე, მაგრამ ამ თეზის რეალობაში ბოლომდე დარწმუნებული არ ჩანს.*

რა თქმა უნდა, ჩვენ ვაღიარებთ დასავლეთის მრავალვარიანტულ მიდგომას. აქაც ეს მრავალვარიანტული მიდგომა მისაღები იქნება, თუ "გაზპრომთან" ერთად საქართველოში იქნება წარმოდგენილი "იტერაც". რაც მთავარია, კონკრეტულად "გაზპრომის" კონტექსტში ყველაფერი მისაღები იქნება, თუ ეს წინააღმდეგობაში არ მოვა შაჰდენიზის პროექტთან, რომელიც 2006 წელს ამოქმედდება და რამაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება.

თუმცა, ჩვენ დღეს მაინც ჰიპოთეტურად ვსაუბრობთ იმაზე, რა შეიძლება მოხდეს. შესაძლო პერსპექტივაზე მსჯელობისას უნდა გავიხსენოთ, რა მოხდა სომხეთში, რა მოხდა მოლდოვაში, რა მოხდა უკრაინაში... ეს გამოცდილება ჩვენთვის სასარგებლო პერსპექტივაზე არ მოწმობს. მაგრამ, ალბათ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორია ალტერნატივა.

შაჰდენიზი 2006 წელს ამოქმედდება. რა შეიძლება გავაკეთოთ მანამდე? გვაქვს უნარი, რომ მხოლოდ კომერციული იყოს "გაზპრომის" ინტერესი? ახლა ეს ჩვენზეა დამოკიდებული - რამდენად კომპეტენტური ვიქნებით, რამდენად ღია... ამიტომ, პოსტ-ფაქტუმ კი არ უნდა ტყდებოდეს ალიაქოთი, მოლაპარაკებები მსგავს საკითხებზე საექსპერტო დონეზე, პროფესიონალურად უნდა ხორციელდებოდეს.

**- მაინც მინდა დავაკონკრეტოთ: უკვე მომხდარი ფაქტი - შეთანხმება "გაზპრომთან" და "რაო"-ს შესაძლო შემოსვლა საქართველოში შეუქმნის თუ არა საფრთხეს შაჰდენიზის პროექტს?**

- თუ შევძლებთ - და ვერ გეტყვით, რომ ეს ადვილია - შევზღუდოთ "გაზპრომის" მოქმედება კომერციის ფარგლებში, მაშინ საფრთხეს ავიცილებთ... მაგრამ თუ ცენტრალური მაგისტრალების მიმართ "გაზპრომის" ინტერესი ნათლად გამოიკვეთება, რისი ნიშნებიც არის, და თუ ეს ინტერესი დაკმაყოფილდება, მაშინ გეთანხმებით - სივრცე შეივსება და შაჰდენიზისთვის ადგილი, უბრალოდ, აღარ დარჩება. დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ახლა შემოვა "გაზპრომი", შემდეგ გაჩნდება შაჰდენიზი, ანუ იაფი გაზი და "გაზპრომი" უკან დაიხევს - ისტორიაში არ მახსოვს ფაქტი, რომ რუსეთი შემოსულიყო და შემდეგ გარკვეული კომერციული მიზეზების გამო უკან დაეხია. აქ, რა თქმა უნდა, ნაღმია ჩადებული. ამიტომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პროფესიონალურად დაიდოს ხელშეკრულება... იგივე "ბი-პი"-სთან მოლაპარაკებები გავიხსენოთ - აქაც ძალიან რთული სიტუაცია იყო, თუმცა საქართველომ საბოლოოდ თავისი პოზიციების გატანა შეძლო.

საერთოდ, როცა ასეთი სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს, გადაწყვეტილება ცოტა სხვაგვარად უნდა მიიღებოდეს.

მაგალითად, მე რომ ვყოფილიყავი და მანდატი მქონოდა, ქართული მხრიდან "გაზპრომის" შემოსვლის საკითხს მივაბამდი პოლიტიკურ ინტერესს, რომელიც საქართველოს ძალიან აწუხებს, მაგალითად, აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხს. რა თქმა უნდა, ეს არ მოხდებოდა ღიად და ზედაპირზე, მაგრამ... როგორც ჩვენთან, ისე რუსეთში, საქართველოში "გაზპრომის" შემოსვლის საკითხი პრეზიდენტების დონეზე წყდება. "გაზპრომის" პრეზიდენტი მილერი შეხვდებოდა თავის პრეზიდენტს და ეტყოდა: ქართველებმა, ჩემთან საუბრისას, დააყენეს აფხაზეთის რომელიღაც ეტაპის საკითხი... ან თქვეს, რომ რუსეთის რომელიღაც უწყება არ მოქმედებს... ან დააყენეს იგივე ბაზების საკითხი... ჩავრთოთ ამაში საერთაშორისო ექსპერტები, იურისტები, შევეცადოთ, მაქსიმალურად დავიცვათ ჩვენი ინტერესები.

**- ანუ "გაზპრომის" საქართველოში შემოსვლის საკითხი იმდენად წონადია რუსეთისთვის, რომ მასზე შეიძლებოდა საქართველოს პოლიტიკური ინტერესების მიბმა?**

- დიახ, შეიძლებოდა და, ვფიქრობ, კიდევ შეიძლება...

**- და რატომ არ მოხდა ეს "მიბმა", იმიტომ, რომ ქართულ მხარეს კვალიფიკაცია არ ჰყოფნის, თუ იმიტომ, რომ საგარეო პოლიტიკური ვექტორი, მოკლევადიანი პირადი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ჩრდილოეთისკენ შეტრიალდა?**

- მე თუ დამიჯერებთ, მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ამ საკითხზე საუბარი საერთოდ გამორიცხულია. სხვათა შორის, აშშ-ს საელჩოს, აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენლებს ვკითხე, მოდის-მეთქი თქვენამდე ვექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით ხმები? მიპასუხეს, რომ ასეთი ხმები მათთან მიდის, მაგრამ დასძინეს: დარწმუნებული რომ ვიყოთ, ვექტორი შეიცვალა, საერთოდ არ გამოვაგზავნიდით ჯიმ ბეიკერს, არ დავინტერესდებოდით არჩევნების თემითო.

**- ბატონო თედო, ბოლო პერიოდში სსფ-სთან საქართველოს ურთიერთობები განსაკუთრებით გართულდა. პრობლემები ადრეც იყო, თუმცა ამჯერად სსფ-ს პოზიცია განსაკუთრებულად კატეგორიულია. ხომ არ არის ეს პირდაპირ კავშირში იმასთან, რომ აშშ საქართველოს გარკვეულ გაფრთხილებებს აძლევს?**

- არ ვიცი, რამდენად ღია კავშირია აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაციისა და სსფ-ს პოზიციებს შორის. თუმცა, რამდენადაც ვიცი, ახლა სსფ-მ, სეკვესტრის მოცულობასთან დაკავშირებით, პოზიციები, გარკვეულწილად, შეარბილა და ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ ეს აშშ-ს ხელისუფლებასა და ამ საფინანსო ინსტიტუტს შორის ინფორმაციის გარკვეული გაცვლის საფუძველზე მოხდა.

რაც შეეხება აშშ-ს დამოკიდებულებას საქართველოსთან: ძალიან ყურადღებით ადევნებენ თვალყურს, მაგალითად, როგორ დამთავრდება ეს საარჩევნო - არ ვიცი, რა დავარქვა - ციებ-ცხელება ბეიკერის ფორმულასთან დაკავშირებით. ვიცი, რომ რიჩარდ მაილსი მეძებს, მთელი ღამე მეძებდა, როცა მოსკოვში ვიყავი. დღეს შეხვდა გელა ჩარკვიანს... აწუხებთ, რა ხდება ე.წ. ბეიკერის ფორმულასთან დაკავშირებით. მიღებულია ფორმატი, გარკვეულია შეფარდებები. ახლა აღმოჩნდა, რომ შიგნით კიდევ რაღაც თამაშები მიდის. პრინციპში, მე მეჩვენება, რომ ეს გაურკვევლობა, შეგნებული თუ შეუგნებელი, ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ იქმნება...

**- არ მიგაჩნიათ, რომ ამაში სახელისუფლებო ძალები მეტად სცოდავენ?**

- ყველა ჩართულია. არ გამოვრიცხავ, რომ - სახელისუფლებო ძალებიც... ჩემი პირადი პრობლემა, ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, მდგომარეობს იმაში, რომ პრეზიდენტი ძალიან უხერხულ სიტუაციაშია ჩაყენებული. ეს ვაკხანალია, გაუთავებელი დისკუსიები, სკამებისთვის ბრძოლა უმართავ სახეს იღებს. ამის შედეგად, შესაძლოა, იმ ზომამდე მივიდეთ, რომ იმ სკამზე კი დაჯდეს ვიღაცა, მაგრამ ქვეყანა აღარ იყოს.

**- ამ სიტუაციაში პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი სიტყვის თქმა?**

- შეუძლია და, ალბათ, იტყვის კიდეც - ან თვითონ დაურეკავს, ან მას დაურეკავენ... თუმცა, ჯერ გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული იქ, სადაც უნდა იყოს მიღებული. აქ იმაზე არ არის საუბარი, რას გააკეთებს პრეზიდენტი - საუბარი მათზეა, ვინც ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

**- ისევ აფხაზეთს დავუბრუნდეთ. უშიშროების საბჭომ, შემდეგ პარლამენტმაც, მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტის დარეგულირების მეშვიდე თავის ფორმატში გადატანის მოთხოვნასთან დაკავშირებით. რას შედეგს ელის საქართველო?**

- მეექვსე თავით მუშაობის შედეგი, როგორც ვხედავთ, ნულის ტოლია. ამ მუხლის ფარგლებში შეიქმნა ბიუროკრატიის მთელი კასკადი - სისტემა, სადაც ჩართულია ქართული, საერთაშორისო, აფხაზური ბიუროკრატია, პარტიზანი, სამშვიდობო... ჩატარდება ჟენევაში შეხვედრა - მშვენიერია; მიიღება სოჭში გადაწყვეტილება - ძალიან კარგია და... არაფერი იცვლება. ხშირად ეს ისეთ ფორმას იღებს, რომ ამ ბიუროკრატიას, შესაძლოა, ხელს აღარც აძლევდეს კონფლიქტის დარეგულირება. მიგვაჩნია, რომ მეექვსე თავის ფარგლებში კიდევ არის დარჩენილი რეზერვი, მაგრამ დღეს სიტუაცია ჩიხშია შესული.

მოვითხოვეთ მეშვიდე თავის ამოქმედება. განაცხადის მთავარი მიზანია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყოს. თუმცა აპრიორია, რომ რუსეთი ამას ვეტოს დაადებს, მაგრამ ყველა რესურსი უნდა ავამოქმედოთ. მესმის, რომ თქვენც და იმ ადამიანსაც, რომელიც შიმშილობს, ეს ზოგადი განსჯა არ აინტერესებს. მას სჭირდება კონკრეტული პასუხი კითხვებზე: როდის დაიწყება დაბრუნება? თუ დაბრუნდება, სად დაბრუნდება? რომელ ქვეყანაში? რკინიგზის გახსნის შემთხვევაში, საზღვარზე ვინ დახვდება? ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს.

**- ბატონო თედო, ბოლო პერიოდში სახელისუფლებო კულუარებში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამშვიდობო მისიის ფორმატის შეცვლასთან დაკავშირებით, თითქოს, გარკვეული წინსვლა არსებობს.**

- ძირითადად, ამ კონტექსტში უკრაინელებს ვუტრიალებთ. მაგრამ მათაც გარკვეული საკანონმდებლო პრობლემა აქვთ. პირველ რიგში, პარლამენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ეს არ არის პრობლემა, რადგან, მიუხედავად სერიოზული დაპირისპირებისა, იქ ოპოზიციაც და ხელისუფლებაც საქართველოსთან დაკავშირებით აბსოლუტურად ერთსულოვანია. მაგრამ, უკრაინული კანონმდებლობით, უკრაინული სამშვიდობო ჯარის გაგზავნა ხდება მხოლოდ გაერო-ს, და არა დსთ-ს ეგიდით. ამ მიმართულებით ძალიან სერიოზულად მუშაობს ჩვენი დიპლომატიური კორპუსი - ლევან მიქელაძე, რეზო ადამია, მაგრამ პრობლემები, როგორც იცით, არის.

**- ძალიან ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ გაერო-ში და, განსაკუთრებით, რუსეთთან ურთიერთობებში, საქართველოს აშშ-ს იმედი უნდა ჰქონოდა. რამდენად ამართლებს ამ იმედებს აშშ?**

- ალბათ, ისიც უნდა ვიკითხოთ, რამდენად ვუმართლებთ ჩვენ იმედებს აშშ-ს? დაგვეხმარეთ, რომ დაგეხმაროთ! შეუძლებელია იმის არდანახვა, რაც გაკეთდა, მაგრამ გვახსენებენ იმასაც, რაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა.

თუმცა იმაში, რომ საქართველო აშშ-ს პოლიტიკურ ინტერესში არის და იქნება, ეჭვიც არ მეპარება.

ამას წინათ, კონდოლიზა რაისმა, რომელსაც პრეზიდენტის მიერ ბუშის სახელზე დაწერილი ცნობილი წერილი ჩავუტანე, პირდაპირ მითხრა: აუცილებლად მოაგვარეთ ურთიერთობები რუსეთთან. რა თქმა უნდა, მე ვუთხარი, რომ მთავარი, რაც აფერხებს ჩვენს ურთიერთობებს, აფხაზეთის პრობლემაა; სასურველი იქნებოდა, რომ ეს საკითხი პრეზიდენტების დონეზე ასულიყო - საუბარია ბუშის და პუტინის დონეზე. მან მითხრა, შემოგვთავაზეთ არგუმენტაცია, თუ რატომ უნდა დაინტერესდეს აფხაზეთის კონფლიქტით ბუში, ანუ აშშ, მაშინ, როცა ავღანეთის და ერაყის პრობლემა უდგას. ჩვენ მივწერეთ წერილი და მასში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთი, როგორც მოუგვარებელი კონფლიქტი, არაკონტროლირებადი ტერიტორიაა და, შესაბამისად, ტერორიზმის მკვებავი წყარო. ახლა უკვე ამბობენ, რომ ჩვენი მიმართვის დონე საკმაოდ სერიოზულია. ე.ი. აშშ-მ გაიზიარა ეს თეზა და სექტემბერშიც ველოდებით, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრაზე აფხაზეთის საკითხზეც იქნება საუბარი.

თუმცა, ვიმეორებ - ჩვენი გასაკეთებელი მაინც ჩვენ უნდა გავაკეთოთ...

*P.S. ინტერვიუ უკვე ჩაწერილი გვქონდა, როცა გავრცელდა ინფორმაცია "თელასის" აქციების "რაო ეეს როსსიი"-სთვის მიყიდვის შესახებ. საღამოს კი საქართველოს პარლამენტმა, სახელისუფლებო ბლოკის წყალობით, ბეიკერის ვარიანტი "ჩააგდო"...*



### ბოლო 7 წლის მანძილზე "საქართველოს ბანკი" ყველაზე მსხვილი გადამხდელის სტატუსს ინარჩუნებს

საქართველოში მოქმედ 22 კომერციულ ბანკს შორის "საქართველოს ბანკი" ბოლო 7 წლის მანძილზე ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელის სტატუსს ინარჩუნებს. 1996 წლიდან მოყოლებული ბანკის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხების ოდენობა წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება და გასული წლის ბოლო მონაცემებით ამ მაჩვენებელმა 6 მილიონ 510 ათას ლარზე მეტი შეადგინა, რაც სხვა კომერციული ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებს შორის უდიდესია.

"დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო ქვეყანა ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაშივარდება, ჩვენს მთავარ პრიორიტეტად ვთვლით მაქსიმალურად მეტი თანხა შევიტანოთ სახელმწიფო ბიუჯეტში. დღიდან "საქართველოს ბანკის" დაარსებისა ჩვენს მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხები ყოველწლიურად იზრდება და მომავალ წლებშიც გაიზრდება" ამბობს "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ელგუჯა სილაგაძე.

"საქართველოს ბანკს", რომელსაც ქვეყანაში მოქმედ კომერციულ ბანკებს შორის ფილიალთა ყველაზე ფართო ქსელი გააჩნია (სულ 51 ფილიალი და მომსახურების ცენტრი), ცენტრალური ბიუჯეტის გარდა ყოველწლიურად მნიშვნელოვანი შენატანები აქვს ადგილობრივ ბიუჯეტებშიც.

2003 წლის პირველ ნახევარში "საქართველოს ბანკის" მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილია 3 მილიონ 520 ათას 416 ლარი. წლის მეორე ნახევრის პროგნოზირება იძლევა იმის საფუძველს, რომ მიმდინარე წლის ბოლოსათვის "საქართველოს ბანკის" მიერ 2003 წელს გადარიცხული თანხა 7 მილიონ ლარს გადააჭარბებს.

ბოლო წლების მანძილზე "საქართველოს ბანკის" მიერ სულ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულია 30 მილიონ ლარზე მეტი თანხა.

მამუკა კახნიაშვილი



## მოკლედ

### მოსკოვის მოთხოვნა

მოსკოვი თბილისისგან სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვს და აფხაზეთის საკითხში ქართული მხარის პოზიციის გამკაცრების გამო წუხილს გამოთქვამს. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლის ვალერი ლოშჩინინის განცხადებით, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში პროგრესის არარსებობა ქართული მხარის მიდგომების გამკაცრებას და ძალით მშვიდობის დამყარების შესახებ მუხლის თაობაზე თბილისში დაწყებულ კამპანიას უკავშირდება. მისივე განმარტებით, რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტებს შორის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მოსკოვი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს. **ინტერ-პრესი**

### აფხაზების და ოსების ფუჭი იმედი

რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ მარგელოვი რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შესვლის პერსპექტივას გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ სექტემბრის ბოლოს ქართველი და რუსი პარლამენტარები აფხაზეთის საკითხზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში იმსჯელებენ.

**"აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არასდროს გახდებიან რუსეთის ფედერაციის სუბიექტები. ამ თემაზე თეორიული დისკუსიების გამართვა დროის უქმად დაკარგვაა. მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ კიდევ ორი ჩეჩნეთი გვჭირდება,"** - განაცხადა მიხაილ მარგელოვმა. თუმცა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ სოჭსა და სოხუმს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენით რუსეთი "საზღვაო მეკობრეობას" ეწევა, მარგელოვი გადაჭარბებულს უწოდებს. მისი თქმით, სოჭსა და სოხუმს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენა არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული. **ინტერ-პრესი**

### რუსების საჩუქარი აფხაზებს

რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მხარდამჭერი პარტიის "ედინაია როსიას" დაფინანსებით სოხუმში გაიხსნა დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელიც რუს მშვიდობისმყოფელებს მოემსახურება. ცენტრი უკვე აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით. დიაგნოსტიკური ცენტრი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების ბაზაში, ერთ-ერთ სანატორიუმშია განთავსებული. დიაგნოსტიკური ცენტრი, სამშვიდობოების გარდა, რუს ტურისტებს და აფხაზეთის ომის მონაწილე ადგილობრივ მოსახლეობასაც მოემსახურება. **მედია-ნიუსი**

## „ფიქრადაც არ გაივლოთ!"




*შარაძე უკრაინასაც აფრთხილებს.*

თბილისში უკრაინის საელჩოსთან გაიმართა 7-10 აგვისტოს კიევში დაგეგმილი იეღოველთა მსოფლიო კონგრესის საწინააღმდეგო აქცია, რომელიც გურამ შარაძის თაოსნობით ჩატარდა. მის მხარდამჭერ საზოგადოებასთან ერთად აქციაში მონაწილეობდა გლდანის ეპარქიის მრევლი. გურამ შარაძემ უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს გადასცა უკრაინის პრეზიდენტისადმი განკუთვნილი წერილი, სადაც შარაძე კუჩმას მოუწოდებს, დაიცვას უკრაინელი მართლმადიდებლების ინტერესები და არ დაუშვას აღნიშნული კონგრესის ჩატარება კიევში. შარაძე დარწმუნებულია, რომ კუჩმას ამის შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს. უკრაინის საელჩოს დაპირებით, შარაძის წერილს კუჩმა გუშინ საღამოსვე მიიღებდა.

" იეღოველებს კონგრესის ჩატარება თბილისში, დინამოს სტადიონზე უნდოდათ, მაგრამ ჩვენ მათ ამის საშუალება არ მივეცით. დღეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უკრაინის პრეზიდენტი გავაფრთხილეთ, მაგრამ ეს არის გამაფრთხილებელი აქცია ჩვენი ხელისუფლების მიმართაც. ფიქრადაც არ გაივლონ იეღოველებმა და საქართველოში მათი ორგანიზაციის მხარდამჭერებმა თბილისში ანალოგიური ყრილობის ჩატარება!" - აცხადებს შარაძე.

*24 საათი*

## სსფ-მ აზიაში დაგვაბრუნა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) განმკარგულებელმა დირექტორმა ხორსტ კელერმა გააუქმა მეორე ევროპული დეპარტამენტი, რომელშიც რუსეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები შედიოდნენ.

მისი გადაწყვეტილების თანახმად, 1 ნოემბრისათვის ამ ქვეყნებიდან შვიდი — რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და მოლდოვა — შეუერთდება საერთო ევროპულ დეპარტამენტს. დანარჩენი რვა — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი შეუერთდება არსებულ ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტს, რომელიც ამიერიდან ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტად იწოდება.

გაფართოებული ევროპული დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა — მაიკლ დეპლერი, რომელიც ჯერჯერობით პირველ ევროპულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. **მედია-ნიუსი**

*მონიტორინგი*

## სახელმწიფოს დავალიანება გაიზრდება

ცენტრალური ბიუჯეტიდან წინა კვირას მნიშვნელოვანი რესურსი მიიმართა საგარეო ვალდებულებების დასაფინანსებლად. სწორედ ამით არის განპირობებული ამ თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობისათვის 13 მილიონი ლარის მოკლევადიანი სესხის გამოყოფა. სავარაუდოა, რომ ხსენებული სესხის ნაწილი გადატანილი იქნება გრძელვადიან სესხად და თვის ბოლოს მისი დაბრუნება არ მოხდება. შესაბამისად, გაიზრდება ხაზინის ფინანსური რესურსი.

გრძელდება ივნისის თვის ხელფასების დაფინანსება. სავარაუდოა, რომ ივნისის შრომის ანაზღაურების დაფინანსება ივლისში ვერ დასრულდება.

წინა კვირას არ დაფინანსებულა სოციალური ფონდის ტრანსფერი. თვის ბოლოს ნაკლებად არის მოსალოდნელი "არასაპრაკრუტკო" ხარჯების დაფინანსება. შესაბამისად, სოციალური ფონდის ტრანსფერიც შემდეგი თვისთვის გადაიწევს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად რეალური შემოსავალი კიდევ უფრო შემცირდება. შესაბამისად, სახელმწიფოს დავალიანება გაიზრდება, განსაკუთრებით, სოციალური ვალდებულებების კუთხით.

მთავრობის ასეთი "გულმოდგინე" მუშაობის შედეგად, 2003 წელი საუკეთესო შემთხვევაში ლტოლვილთა შემწეობის ერთი თვის, ხელფასის ორთვიანი და პენსიის 3-4 თვის დავალიანებით დამთავრდება.

***საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"***

2003 წლის 21-25 ივლისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | **13,034.0** |
| | [illegible] | 5,500.0 |
| | [illegible] | 2,500.0 |
| | [illegible] | 5,034.0 |
| 2 | [illegible] | **69.4** |
| 3 | [illegible] | **2,167.0** |
| | [illegible] | 583.5 |
| | [illegible] | 583.5 |
| | [illegible] | 1,000.0 |
| 4 | [illegible] | **4,455.0** |
| 5 | [illegible] | **570.3** |
| | [illegible] | 150.0 |
| | [illegible] | 30.0 |
| | [illegible] | 250.0 |
| | [illegible] | 10.0 |
| | [illegible] | 20.0 |
| | [illegible] | 6.0 |
| | [illegible] | 50.0 |
| | [illegible] | 25.0 |
| | [illegible] | 6.7 |
| | [illegible] | 22.6 |
| 6 | [illegible] | **12.5** |
| 7 | [illegible] | **30.0** |
| 8 | [illegible] | **16.2** |
| | [illegible] | 9.2 |
| | [illegible] | 2.0 |
| | [illegible] | 5.0 |
| 9 | [illegible] | **379.0** |
| | [illegible] | 75.0 |
| | [illegible] | 304.0 |
| 10 | [illegible] | **278.0** |
| | [illegible] | 231.0 |
| | [illegible] | 47.0 |

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

31 ივლისისთვის

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % | 30 ივლისი |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 621.63 | 504.29 | 81% | 4.94 |
| [illegible] | 450.46 | 360.23 | 80% | 2.90 |
| [illegible] | 365.15 | 314.24 | 86% | 2.71 |
| [illegible] | 139.01 | 122.38 | 88% | 1.31 |
| [illegible] | 27.35 | 21.98 | 80% | 0.73 |

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % | 30 ივლისი |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 124.34 | 135.81 | 109% | 1.88 |

## ზვიად ძიძიგური რელიგიური სექტების ლუსტრაციას მოითხოვს

ნანა ქადაგიშვილი

*გაზეთ "24 საათის" 26 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა ღია წერილმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორესადმი, არა მხოლოდ საპატრიარქოს, პოლიტიკოსთა მხრიდანაც ჰპოვა გამოხმაურება. "ეროვნულ ძალთა გაერთიანებამ" ამ თემას პრესკონფერენცია მიუძღვნა.*



*ძიძიგური და ანდრიაძე საპატრიარქოს "მტრებს" ამხელენ.*

**"წერილის მიწერის ის ფორმა, რასაც გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული წერილის ხელმომწერებმა მიმართეს, პროვოკაციულია. მათ შეეძლოთ, პირდაპირ შეხვედროდნენ პატრიარქს და ეს საკითხი დაეყენებინათ, შეხვედრის პრობლემა ნამდვილად არ ექნებოდათ. ხელმომწერთა შორის ბევრია ისეთი, მაგალითად, მზექალა შანიძე, ელდარ შენგელია, ვინც პატრიარქს არაერთხელ შეხვედრია უპრობლემოდ. მაგრამ მგონია, რომ აღნიშნული წერილი მათი დაწერილი არ არის. ეს წერილი მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის შელახვას ისახავდა მიზნად და მისი ავტორი დეკანოზი ბასილ კობახიძე გახლავთ"**, - განაცხადა პარტიის ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

**"დეკანოზი ბასილ კობახიძე სისტემატურად ლანძღავს საპატრიარქოს. მისი ინიციატივით, საპატრიარქოს მოწინააღმდეგეები "კავკასიურ სახლში" ხშირად იკრიბებიან. ეს წერილიც ამ შეხვედრების ნაყოფია"**, - დააკონკრეტა პრესკონფერენციაზე მიწვეულმა საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანმა გიორგი ანდრიაძემ და "კავკასიურ სახლთან" ერთად არც "თავისუფლების ინსტიტუტი" დაივიწყებია. მართალია, იქ მსგავსი შეკრებები არ იმართება, მაგრამ "თავისუფლების ინსტიტუტიც" საპატრიარქოს ავტორიტეტის შელახვის მსურველებს უჭერს მხარსო.

პრესკონფერენციის დასასრულს ზვიად ძიძიგურმა საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანს წინადადება მიაწოდა, საქართველოში მოქმედი რელიგიური სექტების ლუსტრაცია მოვითხოვოთო. **"ეს სექტები საქართველოში საბჭოთა პერიოდში, მე-20 საუკუნის 50-იან წლებში შემოვიდნენ. საინტერესოა, კომუნისტურ ეპოქაში როგორ ახერხებდნენ, რომ თავისუფლად საქმიანობდნენ და საზღვარგარეთაც უპრობლემოდ დადიოდნენ"**, - განაცხადა ძიძიგურმა.

## სამთავრობო შეშფოთება „თემებთან დაკავშირებით, რომელიც ეკლესიას ეხება"

*პირველი ოფიციალური განცხადება საქართველოს საპატრიარქოს ირგვლივ დაწყებული მსჯელობის შესახებ, სამთავრობო ბლოკმა გუშინ, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას პირით გააკეთა.*



*ირინა სარიშვილი-ჭანტურია ეკლესიის პრობლემების საერო განხილვის წინააღმდეგია.*

განცხადების მოკლე შინაარსი ასეთი გახლავთ: ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევა არ შეიძლება, არ შეიძლება მისი პრობლემების საერო განხილვა, არ შეიძლება ასევე, წინასაარჩევნოდ ეკლესიის სახელით სპეკულირება.

იმიტომ, რომ ეს, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებით, კეთდება იმისთვის, რომ ტელედებატები გაიმართოს და, ამ საკითხის ირგვლივ მოკამათე, როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე მხარეებმა გულშემატკივრები მოიპოვონ. ასე ხსნის ედპ-ს ლიდერი საკუთარ და სამთავრობო შეშფოთებას "პოლიტიკოსთა ნაწილის იმ თემებთან დაკავშირებით გააქტიურების გამო, რომელიც ეკლესიას ეხება."

გააქტიურებულ პოლიტიკოსებში ქალბატონი სპიკერი, ძირითადად, "გაერთიანებულ დემოკრატებს" გულისხმობს. მისი განმარტებით, პრესაში გამოქვეყნებული ღია წერილის ხელმომწერები სწორედ ამ პოლიტიკურ ძალასთან დაახლოებული პირები არიან. სხვებში – იგივე მეორე მხარეში, მისივე განცხადებით, გურამ შარაძე და ჯონდი ბაღათურია იგულისხმებიან.

სარიშვილი-ჭანტურია მთავრობის სახელით აფრთხილებს საეკლესიო პირებს, არ გამოიტანონ სააშკარაოზე ის, რაც საპატრიარქოს შიგნით ხდება, დაიცვან პატრიარქისა და ეკლესიის ინტერესები. **"ეკლესია არ არის პარტია და ეკლესიის მსახურებმა არ უნდა მისცენ საშუალება პოლიტიკოსებს, ჩაერიონ მათ საქმეებში,** - აცხადებს იგი, - **არ შეიძლება ასეთი საკითხები საერო მსჯელობის საგანი გახდეს."**

*24 საათი*

## "თელასი" რუსეთის საკუთრებაა

პირველი გვერდიდან



*რიჩარდ მაილსი, ჯონ ჰეიფეკერი და ნავიდ ისმაილი ჯერჯერობით მხოლოდ კანცელარიას ტოვებენ.*

რაც შეეხება "თელასის" ახალ მფლობელ "რაო ნორდიკს", ის სულ ახალი შექმნილია. ის "რაო ეეს როსსიის" შვილობილმა "ინტერ რაო ეეს"-მა რაღაც თვენახევრის წინ – 16 ივნისს დააფუძნა. "რაო ნორდიკის" დაფუძნების მიზანს "რაოს" მხრიდან ევროპის ბაზარზე ფინეთის გავლით შესვლა წარმოადგენდა.

"ეი-ი-ეს კორპორაცია" საქართველოს დატოვების გადაწყვეტილებას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით ხსნის. ჯონ ჰეიფეკერის განცხადებით, სწორედ ასე მოახსენა გასული წლის სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტს "ეი-ი-ეს კორპორაციის" ვიცე-პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ "ეი-ი-ესის" მხრიდან საქართველოდან წასვლის მუქარამ პირველად 2001 წლის 11 სექტემბრისა და, ამჟამად უკვე გაკოტრებული ენერგოგიგანტის, "ენრონის" აქციათა ინდექსების პირველივე მნიშვნელოვანი ვარდნის შემდეგ გაიჟღერა, რადგან საფონდო ბირჟაზე დაწყებული პროცესი "ეი-ი-ესსაც" შეეხო. ეს, ნაწილობრივ, კორპორაციის რამდენიმე წარუმატებელი მსხვილი კაპიტალდაბანდებით იყო გამოწვეული. აქციათა ვარდნას "ეი-ი-ესში" აქციონერთა რიგგარეშე კრება მოჰყვა, სადაც "ეი-ი-ესის" რამდენიმე ფილიალის გაყიდვა გადაწყდა.

დღეს საქართველოს პოლიტიკური წრეები "ეი-ი-ესის" გადაწყვეტილებას საქართველოდან წასვლის თაობაზე "საგანგაშოდ" აფასებენ. მით უმეტეს, რომ დედაქალაქის ელექტროენერგიის სადისტრიბუციო ქსელი რუსული ენერგოგიგანტის – "რაო ეეს როსიის" საკუთრებაში აღმოჩნდა. პოლიტიკოსები "რაო ეეს როსსიის" "თელასში" შემოსვლის მიღმა შორს მიმავალ პოლიტიკურ მიზნებს ხედავენ და შიშობენ, რომ ქართულ ენერგობაზარზე რუსეთის ასეთი აშკარა ექსპანსია საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას დააკარგვინებს.

რუსული ენერგოინტერესების ქართულ ბაზარზე დაშვების მიზანშეუწონლობაზე საქართველოს მთავრობას არაერთხელ მიანიშნეს აშშ-ს ოფიციალურმა სტრუქტურებმაც. სანამ "ეი-ი-ეს კორპორაცია" "თელასის" გაყიდვის საკითხს განიხილავდა, აშშ-ს ოფიციოზმა არაერთხელ მიანიშნა მთავრობას, რომ თავის დროზე კომპანიის საქართველოში შემოსვლა პოლიტიკური მოტივებით უფრო იყო ნაკარნახევი, ვიდრე კომერციული ინტერესებით. სწორედ ამიტომ, "ეი-ი-ესი" პერიოდულად ითხოვდა ლიბერალურ საგადასახადო რეჟიმს და განსაკუთრებულ შეღავათებს, თუმცა ამაოდ. მიუხედავად აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან მრავალჯერადი მოწოდებისა, პოლიტიკური დატვირთვით შემოსულ კომპანიას საქართველოს მთავრობამ კეთილსასურველი კომერციული გარემო მაინც არ შეუქმნა და ის, ფაქტობრივად, გაკოტრების პირას მიიყვანა.

ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ კომპანიის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აშშ-ს საელჩო საქართველოში და ეს ფაქტი საქართველოსთვის უარყოფითად შეაფასა. **"ჩვენ გვესმის, რომ ეს გადაწყვეტილება კომერციული მიზნებითაა განპირობებული. ის მიუთითებს საქართველოში რთული საინვესტიციო კლიმატის არსებობაზე. აშშ კვლავ განაგრძობს საქართველოში ენერგოსექტორის რეფორმის მხარდაჭერას,"** – ამ ფორმით გააჟღერა აშშ-ს საელჩომ საქართველოში დასავლეთის ჯერ კიდევ არსებული დაინტერესება საქართველოს ენერგოსექტორით.

გუშინვე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა პრეზიდენტ შევარდნაძეს "ეი-ი-ეს თელასის" ახალი, დროებითი მმართველი, პაკისტანელი ნავიდ ისმაილი წარუდგინა. ის საქართველოში "ეი-ი-ეს კორპორაციამ" "ეი-ი-ესის" ბრიტანული ოფისიდან გადმოიყვანა. ნავიდ ისმაილს "ეი-ი-ესის" პოსტსაბჭოური სივრცის ფილიალებში, კერძოდ, ყაზახეთში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. "ეი-ი-ესის" ყაზახეთის ფილიალი კი სწორედ იმ "ეი-ი-ეს სილკ როუდის" განკარგულებაშია, რომელიც "ეი-ი-ეს კორპორაციამ "რაოს" მიჰყიდა.

## ბალუაშვილი სამხილებს კიდევ სამი კვირა მოაგროვებს

პირველი გვერდიდან

ფინანსთა მინისტრი კმაყოფილია, რომ გაუთავებელი კონსულტაციები დასრულდა. მაგრამ უტყვი სამხედრო მინისტრი დავით თევზაძე მას "დიდ" პრობლემას გუშინვე დაჰპირდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს ნაბახუსევზე ფინანსთა სამინისტროში ის მარტო აღარ მივა. ასე რომ, საარჩევნო კოდექსზე ღამეებნათევ დეპუტატებსა და სპიკერს ახალი საძიძგილაო სულზე მიუსწრებთ. ნინო ბურჯანაძის უკვე მერამდენედ გამეორებულ მუქარას მთავრობის მუშაობის პრინციპული შეფასების შესახებ, სახელმწიფო კანცელარია თავისებურად გამოეხმაურა. სახმინისტრის მოადგილის ანზორ ბალუაშვილის მთავრობის სხდომაზე წასაკითხ მოხსენებას კანცელარიიდანვე შექმნილი აჟიოტაჟი მოჰყვა. მაგრამ, დაპირებული კონკრეტული მხილებების ნაცვლად, მთავრობის წევრებს ბოლო "გამოსასწორებელი" ვადა დაუთქვეს.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის თქმით, ეკონომიკურ, ძალოვან და მაკონტროლებელ უწყებებს ერთიორი თვე მიეცათ გუშინ შეთანხმებული "იდუმალი" გეგმის განსახორციელებლად. ანზორ ბალუაშვილი კი ამ ვადას სამ კვირამდე ამცირებს: **"მე პრეზიდენტს მოვახსენებ დღევანდელი დავალებების შესრულების მიმდინარეობას და, მერწმუნეთ, მიღებული იქნება დაუნდობელი გადაწყვეტილებები"**. საკუთარ "მძაფრსიუჟეტიან" ანგარიშში მას ჩვენთვის უცნობი 10 კარდინალური ღონისძიება ჰქონია ჩამოყალიბებული. აქედან ექვსზე მან ინფორმაციის სრული გამჭვირვალობა მოითხოვა, მაგრამ მაინც არც ერთი მათგანი არ დაასახელა. კარგი დასაწყისია, არა?

**"ამ სისტემის მუშაკებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ქვეყანაში არის გადამხდელთა ბაზა და, შესაბამისად, რეზერვი. ფისკალური სისტემის მოწესრიგებული მუშაობის შემთხვევაში შემოსავლები, სულ მცირე, სამჯერ გაიზრდება. მაგრამ ამ სტრუქტურებში მოკალათებული ჩინოვნიკებისა და მაფიოზების ტანდემი ქვეყანას, მოსახლეობას აზარალებს. სამართალდარღვევებმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ადეკვატური რეაგირების გარეშე ამის დატოვება ღალატის ტოლფასია,"** – განაცხადა ანზორ ბალუაშვილმა, რომელმაც დაადასტურა, რომ მასსა და ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რაც ქვეყნის მასშტაბით გადამხდელთა საერთო რაოდენობას ასახავს. მის მოხსენებას, ეტყობა, მაინც ჰქონდა მინისტრებისათვის წყლის შეყენების მიზანმიმართული ფუნქცია. მთავრობის სხდომის შემდეგ ყველა საკვანძო თანამდებობის პირი უმალ გაუჩინარდა სახელმწიფო კანცელარიიდან და პირმცინარი ვალერი ხაბურძანიაც კი კბილებში სცრიდა სათქმელს: **"სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ჩვენც დაგვადანაშაულა, რომ საწვავის კონტრაბანდაზე აღძრული საქმეებიდან არც ერთი სასამართლომდე არ მისულა."** თბილისის მერი, ვანო ზოდელავა კი ისეთ ნევროზულ მდგომარეობაში გამოვიდა, რომ კითხვაზე - თუ ძირითადად, რაზე გამახვილდა ყურადღება სხდომაზე, უპასუხა: **"სიყვარულზე".**

მთელი ეს სურათი პროსტრაციულ აგონიას ჰგავს.

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** ახლახან თბილისის საოლქო სასამართლომ პანკისელ ბისერგი ალხანაშვილს პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა. მას მცირეწლოვანი გოგონას გატაცება ედება ბრალად. გამოძიებას თელავის პროკურატურა აწარმოებს. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლომ პანკისის ხეობის სოფელ ომალოს მკვიდრ მედეა კუშტანაშვილს წინასწარი პატიმრობა კიდევ ერთი თვით გაუგრძელა. სამი შვილის დედა ბავშვის გატაცებაში, პანკისელ კრიმინალებთან კავშირსა და სხვა დანაშაულებებშია ეჭვმიტანილი. გამოძიების ვერსიით, კუშტანაშვილი გამტაცებლებსა და გატაცებულის ოჯახს შორის შუამავლის ფუნქციას ასრულებდა და თანხის გადაცემას უზრუნველყოფდა. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტოტალიზატორების უმსხვილესი ქსელის "კროკოს" გენერალურ დირექტორს დიმიტრი აბესაძეს გუშინ ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისთვის თავის არიდებაში, უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში და ეროვნული ვალუტის მიმოქცევის წესების დარღვევაში წაუყენეს. მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე დღეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო იმსჯელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთაველ მოსწავლეების უმრავლესობას ახალი სასწავლო წლის დაწყება გაურემონტებელ სკოლებში მოუწევთ. ქალაქში 64 სასწავლო დაწესებულებაა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 50 ათასი ლარი კი მხოლოდ რვა შენობას ყოფნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პატარა ბიჭუნა, რომელიც შიდსით ინფიცირებულმა დედამ ცოტა ხნის წინ გააჩინა, თავს კარგად გრძნობს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, დაინფიცირებულია თუ არა ბავშვი. ეს მხოლოდ 19 თვის შემდეგ გახდება ცნობილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, უკვე დაიწყო ფილტვისა და ტუბერკულოზის სამეცნიერო ცენტრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. წლის ბოლოსთვის იგი თანამედროვე აპარატურითაც აღიჭურვება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკრებულოს ორგანიზებით, 30 აგვისტოს, რიყეზე სკოლების მიხედვით დანომრილი მაგიდები დაიდგმება და პირველკლასელები სასწავლო ინვენტარს შესაბამისი სკოლების მიხედვით მიიღებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**საჩხერე.** საჩხერის რაიონის არგვეთის, სავანის, შომახეთის, იცქისის, მახათაურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისთვის ახალი სასწავლო წელი კვლავ ვაგონებში განახლდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** შიდა ქართლში მცხოვრები 20 ქართველი და ოსი მოსწავლე, „იუნისეფისა" და ორგანიზაცია "ჟურნალისტები ადამიანის უფლებებისთვის" ხელშეწყობით ერთი თვე ბათუმის საზაფხულო ბანაკში ისვენებდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს "საქართველოს რკინიგზამ" ბილეთების გაყიდვის ახალი წესები შემოიღო: 28 ივლისიდან ბილეთების შეძენისას პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენა იქნება საჭირო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს „თბილგაზს" ბუნებრივი აირის მომწოდებლის — „იტერასათვის" ივნისის თვეში მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასური — 690 ათასი დოლარი დღემდე არ გადაუხდია. არადა, ამ ორ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით „თბილგაზმა" მომდევნო თვეში მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასური, წინა თვის 25 რიცხვისათვის უნდა გადაიხადოს, ან ამ თანხის გადახდის საბანკო გარანტია წარუდგინოს მომწოდებელს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** მეტალურგიული კომბინატის შ.პ.ს. "თუჯი-XXI"-ს ტერიტორიაზე რადიაქტიური ნივთიერება აღმოაჩინეს. ამის შესახებ მეტალურგიული კომბინატის დირექტორმა ნოდარ ღვამბერიამ განაცხადა. მისი თქმით, საწარმოდან გაჟონილი გოგირდის მჟავა - ე.წ. "ცეზიუმ-137" წვიმის შედეგად რეაქციაში შევიდა ნიადაგთან, რამაც რადიაქტიური მარილი წარმოშვა. 20-25 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე რადიაციის დონე 200 მიკრორენტგენია, ეს კი დასაშვებ დონეს ოთხჯერ აღემატება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მიუხედავად მთავრობის მხრიდან ბიუჯეტის შეკვეცის შესახებ პროექტის დაგვიანებისა, პარლამენტის რიგგარეშე სესია 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შედეგებზე მსჯელობის გარეშე მუშაობას არ დაასრულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** "რელასის" დირექტორმა გიორგი ენდელაძემ სამსახურებრივი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 2 დღით ადრე, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სექტემბერში ტრასეკას დერეფნით ავღანეთის მიმართულებით ჰუმანიტარული ტვირთის კიდევ ერთი საცდელი პარტია გაივლის. ამჯერად გადაზიდვას საერთაშორისო კონცერნი „დაიმლერ - კრაისლერი" განახორციელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 30 ივლისს რუსულმა კომპანია „ფორისმა" ქართულ „თბილუნივერსალბანკში" საკუთარი „ვა-ბანკ XL" ავტომატიზებული საბანკო სისტემის (ასს) დანერგვის პროექტის დასრულება გამოაცხადა. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

სამხრეთ იტალიის ქალაქ ბაჯანოს მღვდელმა შვიდი ბავშვი ამოიყვანა ზღვიდან, მაგრამ თვითონ დაიხრჩო. სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ზღვაში ბანაობდნენ, დინებამ გაიტაცა. მამა სტეფანო გორზენო, რომელიც ადრე პროფესიონალი მოცურავე იყო, ანაფორიანად გადახტა წყალში და ყველა - შვიდივე ბავშვი გადაარჩინა, მაგრამ ამასობაში ფილტვები წყლით გაევსო და დაიღუპა. **როიტერი**

■ ■ ■

სტალინმა არაერთხელ სცადა მსახიობ ჯონ უეინის მოკვლა, – ნათქვამია ამ უკანასკნელის ახალ ბიოგრაფიაში. მსახიობის ანტისაბჭოთა განწყობით გაღიზიანებულმა სტალინმა მას რამდენჯერმე მიუგზავნა მკვლელები. უეინის დევნა შეწყდა ხრუშჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რომელიც ამ მსახიობის ნამდვილი ფანი იყო. **როიტერი**

■ ■ ■

ეკონომიკური ზრდის ტემპით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ტაჯიკეთი, მეორეზე - სომხეთი, მესამეზე - ყაზახეთი და მეოთხეზე - ლიტვა, – განაცხადეს ვილნიუსში "ვილნიაუს ბანკასის" ექსპერტებმა. სამი დანარჩენისაგან განსხვავებით, რომელთა ეკონომიკურ ზრდას წინ კიდევ უფრო მასშტაბური დაცემა უძღოდა, ლიტვა ბოლო წლების მანძილზე მუდმივ ზრდას განიცდის. **ფრანს პრესი**

■ ■ ■

შვიდი ადამიანი დაიღუპა და 32 დაიჭრა ბომბეიში მომხდარი აფეთქების შედეგად. აფეთქება მოხდა იმ ადამიანის სახლში, რომელიც "ინდოეთის ჰოლივუდს" ე.წ. ბოლივუდს ასაფეთქებელი მასალებით ამარაგებდა. პოლიციის განცხადებით, ინციდენტი უბედურ შემთხვევას უფრო წააგავს, ვიდრე ტერორისტულ აქტს. **როიტერი**

■ ■ ■

ამერიკელებმა ერაყში ადგილობრივი მოსახლეობისაგან იარაღის შესყიდვა დაიწყეს. ხელისუფლების განცხადებით, თითო ერ-პე-გე-ში ისინი 500 დოლარს გადაიხდიან. სამხედროები აცხადებენ, რომ მათზე თავდასხმების უმეტესობა სწორედ ამ იარაღიდან ხდება. ერ-პე-გე რამდენჯერმე თვითმფრინავსაც ესროლეს. **როიტერი**

■ ■ ■

ტონი ბლერი შაბათს რეკორდსმენი ხდება. ჯერ არც ერთი ლეიბორისტი ამდენ ხანს ბრიტანეთის პრემიერი არ ყოფილა. ბლერი აცხადებს, რომ იგი მომდევნო, 2005 წლის არჩევნებშიც აპირებს მონაწილეობას. მას პრემიერის პოსტი, უკვე ექვსი წელია, უკავია.

ბლერის რეიტინგი ბოლო ხანს შესამჩნევად დაეცა, რაც ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის ვერაღმოჩენას უკავშირდება. **როიტერი**

■ ■ ■

ბანკებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ტერორისტების დაფინანსების შესაჩერებლად ისინი უძლურნი არიან, – განაცხადა მსოფლიოს უდიდესი ბანკის, "სიტიგრუპის" წარმომადგენელმა. მისი თქმით, გათეთრების ამოცნობა იოლია, მაშინ, როდესაც ტერორისტები ფულს ზუსტად ისევე ხარჯავენ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები. **როიტერი**

■ ■ ■

პერუმ იაპონიისაგან ყოფილი პრეზიდენტის, ალბერტო ფუჯიმორის ექსტრადიცია ითხოვა. მას ბრალი უამრავ დანაშაულში, მათ შორის - მკვლელობასა და ადამიანთა გატაცებაში ედება. იაპონია ამ მოთხოვნაზე უარის თქმას აპირებს, რადგან, ტოკიოს განცხადებით, ფუჯიმორი იაპონიის მოქალაქეა. **როიტერი**

■ ■ ■

ერაყს ახალი მთავრობა 2004 წლის ზაფხულისთვის ეყოლება, - განაცხადა ამ ქვეყნის ამერიკელმა მმართველმა პოლ ბრემერმა ბაღდადში საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის გახსნისას. მისი თქმით, ამასობაში, საოკუპაციო ჯარებიც ნელ-ნელა დატოვებენ ქვეყანას. **როიტერი**

■ ■ ■

ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და ორი დაიჭრა ბაღდადის ჩრდილოეთში მომხდარი თავდასხმის დროს. სულ ომის დასრულების შემდეგ 51 ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს, მათგან 18 - ძმები ჰუსეინების სიკვდილის შემდეგ დაიღუპა. **როიტერი**

■ ■ ■

უკანასკნელმა რუსმა ჯარისკაცებმა დატოვეს კოსოვო და ბოსნია-ჰერცოგოვინა. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით მათ შესანახად სამხედრო უწყებას ფული არ ჰქონდა. ბევრს დღესაც კარგად ახსოვს, როგორი მოულოდნელი სამხედრო მარშით დაიკავეს რუსებმა პრიშტინას აეროპორტი. **როიტერი**

■ ■ ■

მსახიობ ელიზაბეტ ტეილორს მისი ყოფილი მებაღე სამასი ათას დოლარს ედავება სექსუალური დისკრიმინაციისათვის. მებაღის თქმით, მსახობის ბაღში განთავსებულმა შიშველმა ანტიკურმა ქანდაკებებმა იგი დააკომპლექსა. ახლა იგი ტეილორისაგან კომპენსაციას ითხოვს. **როიტერი**

■ ■ ■

**ხონი.** გუშინ ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც სხვადასხვა დანაშაულებისთვის განსჯილი ყოფილი სამართალდამცველები იხდიან სასჯელს, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია გაიხსნა. ერთი წლის მანძილზე ბაზილიკის ტიპის აგურის ტაძარს თავად პატიმრები აშენებდნენ. ეკლესია მართლმადიდებლური ეკლესიის ხონი-სამტრედიის ეპარქიის წინამძღოლმა მეუფე საბამ აკურთხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ზღვაზე 55-60 წლის ქალის გვამი აღმოაჩინეს. გარდაცვლილის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. გარდაცვლილს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა. სიკვდილის მიზეზის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები მუშაობენ. **მედია-ნიუსი**

# აზერბაიჯანში თავისუფალ მედიასა და ოპოზიციაზე ზეწოლა ძლიერდება

პირველი გვერდიდან

22 ივლისის აზერბაიჯანული ყოველდღიური გაზეთის "ჰარიიეთის" თქმით, "სასწაული იქნება, თუ პრეზიდენტი აზერბაიჯანში ცოცხალი დაბრუნდება". ამავდროულად, საინფორმაციო სააგენტო "თურანმა" თურქულ ტელეკომპანია "სტარზე" დაყრდნობით გაავრცელა ცნობა, რომ ალიევის სამედიცინო მკურნალობა ყოველთვიურად 34 მილიონი ამერიკული დოლარი ჯდება.

"ჰარიეთის" 22 ივლისის ხსენებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ ალიევის შიდა წრის წარმომადგენლები, მათ შორის, ჰეიდარის ვაჟი ილჰამი, პრეზიდენტის უფროსი ძმა ჯალალი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეფი რამიზ მეჰდიევი ბაქოს მახლობლად მდებარე აგარაკზე შეიკრიბნენ, "პრეზიდენტის სიკვდილის შემთხვევაში სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად".

ივლისის დასაწყისში აზერბაიჯანის მმართველმა პარტიამ "ახალი აზერბაიჯანი" საპრეზიდენტო არჩევნებში ორი კანდიდატურა - მამა-შვილი ჰეიდარ და ილჰამ ალიევები წამოაყენა. ოპოზიციური მედიის ცნობით, პრეზიდენტის გარემოცვის ყველაზე გავლენიანი წევრები მიიჩნევენ, რომ უფროსი ალიევის მხარდაჭერას უკვე აზრი აღარ აქვს. ასე რომ, ადმინისტრაციული რესურსები ილჰამის მხარდასაჭერად იმუშავებს, რათა მისი გამარჯვება უზრუნველყოს.

საინტერნეტო გამოცემა "ევრაზიანეტის" ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრმა რაჰიმ აღაევმა 17 ივლისს პროვინციის მმართველები შეკრიბა და მათ ილჰამის მხარდაჭერა დაავალა. თანამდებობის პირებმა სხვადასხვა რეგიონში სასურველი შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებლობა აიღეს. მაგალითად, სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ნატიკ ალიევი ნახიჭევანში გამარჯვებას უზრუნველყოფს, პრემიერ-მინისტრის მოადგილე აბას აბასოვი - განჯაში, და ა.შ.

ადმინისტრაციული რესურსების გარდა, მმართველმა პარტიამ ალიევის მხარდაჭერის კამპანიაში სასულიერო ლიდერებიც ჩართო. ორი დღის წინ კავკასიელ მუსლიმთა მუფტმა (სულიერმა ლიდერმა) ალაშუქურ ფაშაზადემ კავკასიელ მუსლიმთა მე-11 კონგრესზე განაცხადა, რომ "ალიევის გაპრეზიდენტება ალაჰის ნებაა". "ვინც მას ეწინააღმდეგება, ის ალაჰის ნების



მმართველი პარტია ჰეიდარ ალიევის შემცვლელად მის ვაჟს ამზადებს

REUTERS

წინააღმდეგია", - დამოძღვრა აზერბაიჯანელი მორწმუნეები მან.

ამასთანავე, მმართველი წრეები ცდილობენ, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გარკვეული ბალანსი შეინარჩუნონ. თუ დასავლეთი ბაქოზე ძალზე დიდ ზეწოლას განახორციელებს, რათა არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდეს, მაშინ ამჟამინდელ ადმინისტრაციას სამარქაფო ვარიანტად რუსეთთან მოკავშირეობა დარჩება.

აზერბაიჯანის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რამდენიმე მაღალრეიტინგიანი პოლიტიკოსი რეგისტრაციაში არ გაატარა, მათ შორის, პარლამენტის ყოფილი სპიკერი რასულ გულიევი. ამას გარდა, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ოპოზიციაზე ზეწოლის მეტად ორიგინალურ ხერხს მიმართა: ოპოზიციის ლიდერები საგზაო პოლიციამ სხვადასხვა ადგილას დააკავა, მათ მოძრაობის წესების უხეშ დარღვევაში დასდო ბრალი და მანქანები ჩამოართვა. ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის - "იენი მუსავათის" ლიდერსა და საპრეზიდენტო კანდიდატს ისა გამბარს 14 ივლისს მანქანა ქუჩაში დაატოვებინეს, ხოლო მისი თანმხლები პირები დააკავეს. საგზაო პოლიცია ანალოგიურად მოექცა სხვა ოპოზიციონერებსაც.

ამგვარ ფაქტებზე ამერიკის მთავრობის, ევროპის საბჭოსა და ეუთო-ს რეაქციამ არ დააყოვნა. მათ აზერბაიჯანში შექმნილი წინასაარჩევნო ვითარების გამო შეშფოთება გამოთქვეს. "ჩვენ [აშშ-ს მთავრობა] კანდიდატებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმით და ოპოზიციურ კანდიდატებთან დაკავშირებული პირების დაკავებით შეწუხებულები ვართ. ამგვარი ქმედებები ოპოზიციის კანდიდატებზე ზეწოლას ისახავს მიზნად", - განაცხადა რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯოან პროკოფოვიჩმა.

"ახალმა აზერბაიჯანმა" აზერბაიჯანულ პრესაში კრიტიკული სტატიებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის განცხადებების გამოქვეყნება რედაქტორებს არ აპატია და მათ იუსტიციის სამინისტროსა და ახლადშექმნილ პრესის საბჭოში უჩივლა. მმართველი პარტია მოითხოვს, რომ ამ უწყებებმა ოპოზიციური გაზეთების "აზადლიგის", "ჯუმჰურიეთის", "ულუსის", "იენი მუსავათის", "ჰარიიეთისა" და კიდევ რამდენიმე მომცრო გამოცემის წინააღმდეგ სათანადო ზომები გაატარონ, რადგან მათ პრეზიდენტის პატივი და ღირსება შეურაცხყვეს.

საჩივარში ნათქვამია, რომ გაზეთები იმ პოლიტიკური ძალების რუპორები არიან, რომლებიც ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობისათვის ძირის გამოთხრას ცდილობენ.

აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების მსგავსად, ოპოზიციური გაზეთების წინააღმდეგ საგზაო პოლიციაც ამუშავდა. რამდენიმე დღის წინ "იენი მუსავათის" რედაქტორი რაუფ არიფოღლუ რამდენიმე ცნობილ ჟურნალისტთან ერთად დააკავეს. რამდენიმე საათის შემდეგ კი, ყოველგვარი ახსნა განმარტებების გარეშე, კვლავ გაუშვეს.

ოპოზიციურმა გაზეთებმა ხელისუფლების წინაშე იმითღა იმართლეს თავი, რომ პრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ არსებული მწირი ინფორმაციის გამო, მათ საზღვარგარეთული სააგენტოების მასალების გამოყენება უწევთ.

# ვატიკანი ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას იწყებს

გუშინ ვატიკანმა გლობალური კამპანია წამოიწყო ჰომოსექსუალისტური წყვილებისათვის ქორწინების უფლების მინიჭების წინააღმდეგ. წმინდა ტახტმა ყველა კათოლიკე პოლიტიკოსი გააფრთხილა, რომ ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელთა შორის ქორწინების მხარდაჭერა "უკიდურესი უზნეობაა". ვატიკანმა სხვა რელიგიების წარმომადგენლებსაც მხარდაჭერისაკენ მოუწოდა.

კათოლიკური ეკლესიის მიერ გამოცემული 12-გვერდიანი დოკუმენტი მიზნად ისახავს შეაჩეროს საკანონმდებლო ინიციატივების ტალღა, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცხოვრებ "ცისფრებს" კანონიერი ოჯახის შექმნის უფლებას აძლევს.

"არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ ჰომოსექსუალური კავშირები მივიჩნიოთ ღვთივკურთხეული ოჯახის თუნდაც შორეული ანალოგიად, – ნათქვამია დოკუმენტში, – ოჯახი წმინდაა, მაშინ, როდესაც ჰომოსექსუალიზმი ამორალურია".

საკითხი განსაკუთრებით წინააღმდეგობრივია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა შტატმა ჰომოსექსუალისტებს ნება დართო, გაეფორმებინათ "სამოქალაქო კავშირი", კონგრესმენების ერთმა ნაწილმა მოითხოვა საკონსტიტუციო შესწორების მიღება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ აკრძალავდა ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელთა ქორწინებას. ოთხშაბათს პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ქორწინება მხოლოდ კაცისა და ქალის კავშირია და ეს აუცილებლად უნდა ჩაიწეროს კანონში.

კათოლიკური ეკლესია განსაკუთრებით წინააღმდეგია ჰომოსექსუალური წყვილებისათვის შვილად აყვანის უფლების მინიჭებისა. რომის აზრით, ასეთ ოჯახებში გაზრდილი ბავშვის განვითარებას დაბრკოლებები ექმნება, რადგან ისინი მამის ან დედის გარეშე იზრდებიან.

"ამგვარ კავშირში მცხოვრები ადამიანებისათვის შვილის აყვანის უფლების მიცემა ძალადობაა ბავშვის წინაშე, რადგან ამგვარ გარემოში ყოფნა ბავშვს სრულფასოვანი განვითარების საშუალებას უსპობს".

ეკლესიის აზრით, ჰომოსექსუალისტების მიერ შვილად აყვანის უფლება ეწინააღმდეგება გაერო-ს ბავშვთა უფლებების კონვენციას, რომელიც ამბობს, რომ ბავშვების ინტერესები პირველ ადგილზე უნდა იდგეს.

დოკუმენტის თანახმად, კათოლიკე პოლიტიკოსებს ეკისრებათ მორალური ვალდებულება, საჯარო წინააღმდეგობა გაუწიონ იმ კანონების მიღებას, რომლებიც ჰომოსექსუალისტებს ქორწინების უფლებას აძლევს. ხოლო, თუ ამგვარი კანონი უკვე არსებობს, მაშინ ისინი მოვალენი არიან, მისი გაუქმებისათვის იბრძოლონ.

ასეთი კანონისათვის ხმის მიცემა უკიდურესად ამორალურია, – აცხადებს ვატიკანი. მისი აზრით, ამგვარად უნდა მოიქცნენ არა მხოლოდ კათოლიკები, ან საერთოდ, ქრისტიანები, არამედ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მორალისა და საზოგადოებრივი სიკეთის ცნებები.

ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, მათ შორის - გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი და დანია ჰომოსექსუალისტებს "სამოქალაქო კავშირის" უფლებას აძლევს. იურიდიული თვალსაზრისით, სამოქალაქო კავშირსა და ოჯახს შორის განსხვავება არ არსებობს.

ვატიკანის განსაზღვრებით კი ოჯახი ქალისა და კაცის კავშირია, რომლის მიზანიც ახალი სიცოცხლის შექმნაა. მართალია, წმინდა ტახტი აცხადებს, რომ იგი დისკრიმინაციის წინააღმდეგია, მაგრამ, მისი აზრით, ჰომოსექსუალისტებისთვის იმ უფლებებზე უარის თქმა, რითაც ჩვეულებრივი წყვილები სარგებლობენ, დისკრიმინაცია არ არის.

მონსენიორ ანხელ როდრიგეზ ლუმო აცხადებს, რომ ჰომოსექსუალისტურ ურთიერთობებს, ისე როგორც სხვა ადამიანურ ურთიერთობებს, იურიდიული აღიარება არ სჭირდება. ასე მაგალითად, მეგობრობა იურიდიულად განსაზღვრული არ არის, რადგან წმინდა ადამიანური ურთიერთობაა.

ვატიკანის მიერ გამოშვებული დოკუმენტისადმი პროტესტის ნიშნად, იტალიის რადიკალურმა პარტიამ დემონსტრაცია მოაწყო. "ძირს ტალიბანი, ძირს ვატიკანი", "დემოკრატიას – დიახ, თეოკრატიას – არა", - ეწერა მათ პლაკატებზე. საპროტესტო განცხადებით გამოვიდა ავსტრიის მწვანეთა პარტიაც: "პოლიტიკოსებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა კონვენციებით და არა ვატიკანის შუასაუკუნეობრივი შეხედულებებით".

"ეს ორგანიზაცია, რომელიც პრეზერვატივების გამოყენებასაც (რაც ძალზე მნიშვნელოვანია შიდსის წინააღმდეგ ბრძოლისათვის) კრძალავს, საკმაოდ დაშორებულია რეალობას," – ნათქვამია მწვანეების განცხადებაში.

*ასოშეიტედ პრესი*

# კირკუკი-ჯეიჰანის მილსადენი ამუშავდება

ერაყი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ კირკუკიდან თურქეთის საპორტო ქალაქ ჯეიჰანში მიმავალი მილსადენის ამუშავებას გეგმავს. კირკუკი-ჯეიჰანის მილსადენის ამუშავება ერაყის სანავთობო ინდუსტრიის აღორძინების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ითვლება.

"მილსადენი ნავთობის საექსპორტოდ 1 აგვისტოსათვის იქნება მზად და მე ვფიქრობ, რომ საწყის ეტაპზე დღეში 200 000-დან 300 000-მდე ბარელს გადავქაჩავთ", - განუცხადა სანფორმაციო სააგენტო "როიტერის" კორესპონდენტს ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულმა პირმა.

ერაყის ახალი მმართველები მილსადენის ამოქმედების ზუსტი თარიღის დასახელებას დღემდე თავს არიდებდნენ, რადგან ჰუსეინის მომხრე ძალების საბოტაჟის ეშინიათ. ამდენად, აღნიშნული ცნობა ბაღდადში არც დაადასტურეს და არც უარყვეს.

ომამდე ჩრდილოეთ ერაყში არსებული ნავთობსაბადოებიდან ამ მილსადენით დღეში 900 000 ბარელის ექსპორტირება იყო შესაძლებელი. მანამ, სანამ დაზიანებული მილსადენი მთლიანად აღდგება, კირკუკი-ჯეიჰანის მილსადენი დღეში, მაქსიმუმ, 500 000 ბარელის გატარებას შეძლებს.

# სომეხ დეზერტირებს ციხიდან ფულის გადახდა იხსნის

სომხეთის ეროვნულმა ასამბლეამ (პარლამენტმა) კანონპროექტის განხილვა დაიწყო, რომლის თანახმად, დეზერტირებს შეუძლიათ გასამართლებასა და ციხეს აარიდონ თავი, თუ შესაბამის თანხას გადაიხდიან.

გადასახდელი თანხა მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო მეტხანს დაემალება ახალწვეული ან ჯარისკაცი ხელისუფლებას. მაგალითად, ათი ან მეტი წლის განმავლობაში მიმალულ პირს 2 მილიონი დრამის (დაახლოებით, 3 500 ამერიკული დოლარი) გადახდა მოუწევს.

კანონპროექტი მმართველ კოალიციაში შემავალი, სომხეთის რევოლუციური ფედერაციის – დაშნაკციუტუნის ლიდერმა ვაჰან ჰოვანისიანმა მოამზადა, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

ამჟამად, ჰოვანისიანი პარალენტის ვიცე-სპიკერია. მისი თქმით, აღნიშნული კანონპროექტი ძალაში, სავარაუდოდ, შემოდგომაზე შევა. თავდაცვისა და უშიშროების ამჟამინდელი შეფის მჰერ შაჰგელდიანის თქმით, ფულის სანაცვლოდ ამნისტიის იდეას მხარს უჭერს.

რაც ყველაზე მთავარია, კანონპროექტს მხარს უჭერენ თავდაცვის სამინისტრო და, მთლიანად, მთავრობა. მთავრობამ ამ საკითხის თაობაზე საკუთარი დადებითი აზრი პარალმენტს უკვე აცნობა.

"ჩვენ დადებითად ვუყურებთ ამ საკითხს", - აღნიშნა "რადიო თავისუფლების" კორესპოდენტთან საუბრისას თავდაცვის სამინისტროს იურისტმა სედრაქ სედრაქიანმა. "ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახალი კანონი ჩვენს მრავალ თანამემამულეს სამშობლოში დაბრუნების საშუალებას მისცემს".

სომხეთში სამხედრო სამსახურის თავის არიდებისათვის სისხლის სამართლის საქმე, დაახლოებით, 5000 მოქალაქის წინააღმდეგ არის აღძრული. საზოგადოებაში გავრცელებული აზრის თანახმად, მათი უმრავლესობა სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს საზღვარგარეთ წავიდა. ძალზე ცოტაა იმათი რიცხვი, ვინც სამხედრო სამსახურს რელიგიური მოტივებით აარიდა თავი.

სომხეთში მოქმედი კანონის თანახმად, ყოველი მამრობითი სქესის 18 წლის ახალგაზრდა ვალდებულია, ორი წელი არმიაში იმსახუროს. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა კი უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახური მაინც უნდა მოიხადონ.

# კონტრაბანდას ყველა "ებრძვის", პასუხს არავინ აგებს

*დღევანდელ პირობებში კონტრაბანდის მაქსიმალურად აღკვეთისათვის აუცილებელია ეკონომიკური მეთოდების გამოყენება. პრაქტიკულად, იმპორტიორს არ უნდა დაებადოს აზრი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ე.წ. "მარცხენა" გზებით ტვირთის შემოტანის შესახებ.*

ზურაბ გარაყანიძე

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა იმპორტირებული ნავთობპროდუქტების ლეგალიზაციისა და საბაჟო შემოსავლების ზრდის გათვალისწინებით, მდგომარეობა დღეისათვის არადამაკმაყოფილებელია და ქვეყნის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძალზე დიდი რაოდენობის აღურიცხავი სანვავი შემოდის.

**დაბეგვრის არსებული განაკვეთების შენარჩუნების შემთხვევაში საჭიროდ მიგვაჩნია**: გაუქმდეს ნავთობპროდუქტების განბაჟების დროს დღგ-თი დაბეგვრის მოქმედი წესი. დღგ-ს გადასახადით დაბეგვრა მოხდეს რეალიზაციის პროცესში ბითუმად ვაჭრობისას პროდუქტის ღირებულების (იგივე საბაჟო ღირებულების) და იმპორტიორის ინტერესის გათვალისწინებით წარმოშობილ სარეალიზაციო ღირებულებაზე დღგ-ს დარიცხვით, რასაც იმპორტიორი ბიუჯეტში გადაიხდის. პროდუქციის შემდგომი რეალიზაციის დროს ქვეყნის შიგნით ოპერაციებზე დღგ-ს ჩათვლების თავიდან აცილების მიზნით, დღგ-ს გადასახადით დაბეგვრა და გადასახადის გადახდა მოხდეს ფასთა შორის სხვაობიდან პროდუქციის ღირებულების (რომელშიც ჩაითვლება შეძენისას გადახდილი დღგ-ც) და სარეალიზაციო ფასს შორის, შემცირებული განაკვეთით (დღგ-ს 20)-პროცენტიანი განაკვეთის შემთხვევაში 16,67 პროცენტით). ეს გამორიცხავს ამჟამად მოქმედი დღგ-ს ანგარიშფაქტურების აუცილებლობას, განტვირთავს ბუღალტერიას ზედმეტი ოპერაციებისა და დოკუმენტებისაგან. ასეთ შემთხვევაში სრულიად საკმარისი იქნება სათანადოდ გაფორმებული ჩვეულებრივი შემოსავალ-გასავლის ზედდებულები (ნავთობპროდუქტებზე მისაღებია ამჟამად მოქმედი ზედდებულები), რისი კონტროლიც თავისუფლად შეუძლია საგადასახადო სამსახურს შემოწმებების ჩატარების დროს.

**ენგურისპირა და ცხინვალის რეგიონების პრობლემების გადაწყვეტის გზები:** საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონტრაბანდის პრობლემასთან მიმართებაში საკმაოდ აქტუალურია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან აღურიცხავი ტვირთების შემოდინებისა და გავრცელების საკითხი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის უკან დგას როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი სერიოზული წვლილი მიუძღვის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის არაეფექტურობასა და მათი თანამშრომლების კორუმპირებულობას, რომელნიც თვითონვე არიან დაინტერესებულნი კონტრაბანდული ტვირთების შემოდინებით, არიან ჩართული ამ საქმიანობაში და იღებენ შესაბამის გამორჩენას.

გალი-ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვართან შექმნილი მდგომარეობა, კონტრაბანდის მასშტაბების თვალსაზრისით, აშკარად საშიშ ფორმებს იძენს და მან გამოკვეთილად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური დივერსიის სახე მიიღო. მდგომარეობა ყველა პროგნოზით კიდევ უფრო გართულდება. პროცესების სახელისუფლებო მართვის გაუმჯობესებაზე იმედის დამყარება უფრო ილუზიაა, ვიდრე რეალობა. პოლიტიკური სეპარატიზმის ეკონომიკურ საფუძვლად, პრაქტიკულად, საბიუჯეტო სეპარატიზმი გვევლინება.

არსებობს პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზა.

1) უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საზღვრის ჩაკეტვა, რომ გამოირიცხოს კონტრაბანდული ტვირთების, პირველ რიგში, საწვავისა და სიგარეტის შემოდინება. პრობლემის ამ გზით მოგვარებისათვის საჭიროა სამართალდაცვის უწყებების, ხელისუფლების წარმომადგენლების ნება, საჭირო ძალები და საშუალებები, რაც როგორც დღეს, ისე უახლოეს მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია.

2) უარი უნდა ვთქვათ ყველანაირ ეკონომიკურ უთიერთობაზე ენგურსგაღმელებთან, ენგურზე გადმოსული ტვირთი უნდა დააკავოს შესაბამისმა უწყებებმა, ხოლო კონტრაბანდის საგანი უნდა მოექცეს კანონით დადგენილ რეჟიმში. აქაც შესაძლებლობა ნაკლებია, თუნდაც იმ მიზეზით - როგორ შეიძლება აღვკვეთოთ ურთიერთობები გალის ტეროტორიაზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზუგდიდში თუ სხვა ქალაქებში რეალიზაციასთან დაკავშირებით.

3) აფხაზეთის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ტვირთების განბაჟების ადგილად გამოვაცხადოთ ზუგდიდი. მით უფრო, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების კანონიერ საფუძველს იძლევა საბაჟო კოდექსის მე-2 და მე-10 მუხლები, რომელთა მიხედვითაც არ არის სავალდებულო, სახელმწიფო და საბაჟო საზღვრები ერთმანეთს ემთხვეოდეს და ამ უკანასკნელის გადაკვეთის ადგილებს საქართველოს პრეზიდენტი ადგენს.

ასეთი ნაბიჯი გადაიდგა ჯერ კიდევ 1999 წლის 5 მაისს და პრეზიდენტის N234 ბრძანებულებით ცხინვალის რეგიონის გავლით შემოსული ტვირთების განბაჟების ადგილად გამოცხადდა გორის საბაჟო. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამი თვე ამ გადაწყვეტილებამ თავისი ეკონომიკური ეფექტი მოიტანა კიდეც. შედეგად, საბაჟო შემოსავალმა ყოველთვიურად 500-600 ათას ლარს მიაღწია. მაგრამ როგორც კი იკლო შესაბამისი უწყებების მხრიდან სერიოზულმა მცდელობებმა, ამ მექანიზმის ეფექტიანობაც შემცირდა და დღეს ის, ფაქტობრივად, არ მუშაობს. ამასთან დაკავშირებით საგანგებო ლეგიონმა, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან ერთად, უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე როკის გვირაბის გავლით გადაადგილებული საქონლის გამოვლენა-აღკვეთის მიზნით. ამასთან, ასეთი ტვირთები განხილულ იქნეს ქვეყნის საზღვარზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით – კონტრაბანდული გზით გადაადგილებულ საქონლად და მათ მიმართ (როგორც კონტრაბანდის საგნების მიმართ) მიღებულ იქნეს კანონით განსაზღვრული ზომები. ეს წინადადება მისადაგება ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის მესამე ვარიანტს (ე.ი. თუ მესამე ვარიანტს ავირჩევთ, სისხლის სამართლის კანონიც შეიძლება უფრო ეფექტიანად ამუშავდეს).

ამდენად, შემოთავაზებულ სამივე ვარიანტს, აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვართან შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, პოლიტიკური დატვირთვაც ახლავს და იგი ხელისუფლების სამივე შტოს შეჯერებულ და რაც შეიძლება სწრაფ გადაწყვეტილებას მოითხოვს. დაყოვნება პრობლემას მხოლოდ გაამწვავებს.

კონტრაბანდამ საქართველოში საშიში მასშტაბები მიიღო, შეიძლება ითქვას მან ეკონომიკური დივერსიის ხასიათი შეიძინა. ამ ფონზე განსაკუთრებით თვალშისაცემია ჩვენი უახლოესი მეზობლების მიერ მიღწეული წარმატებები.

ასე მაგალითად, უკანასკნელ წლებში რუსეთის ფედერაციის საბაჟო სამსახური ფედერალური ბიუჯეტის ერთ-ერთ საიმედო შემავსებლად გადაიქცა: უკანასკნელ ორ წელიწადში საბაჟო გადასახადებმა შეადგინეს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 30-დან 40 პროცენტამდე. მარტო 1999 წელს თითოეულმა მებაჟემ სახელმწიფოს 3 მილიონ რუბლზე მეტი მოუტანა. 1999 წელს საბაჟო სამსახურის განვითარებაში ჩადებულმა ყოველმა რუბლმა რუსეთის ბიუჯეტს 43 რუბლი მოუტანა. გამოვლენილია საბაჟო წესების დარღვევის 150 ათასზე მეტი შემთხვევა, აღძრულია 2918 სისხლის სამართლის საქმე, აქედან 1961 - რფ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით (კონტრაბანდა).

საჭიროა, ქვეყნის ეკონომიკური სივრცის დაცვას ერთი უწყება უძღვებოდეს, ხოლო ეკონომიკურ დანაშაულს – ერთი, პოლიცია გამოავლენდეს.

კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ღონისძიებად გვესახება ამ სახის დანაშაულის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების საინფორმაციო საშუალებებით სისტემატურად გაშუქება კონკრეტული დამნაშავე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის შესახებ. ხალხმა უნდა იცოდეს, თუ ვის არ შეაქვს ბიუჯეტში კანონით დადგენილი გადასახადები და ვისი მიზეზით ვერ ღებულობენ პენსიებს და ხელფასებს.

ყოველივე თქმული გვაძლევს საფუძველს, რამდენიმე ორგანიზაციულ-პრაქტიკული მნიშვნელობის წინადადება ჩამოვაყალიბოთ:

სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, დაინტერესებული უწყებების მონაწილეობით, შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია საგადასახადო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც პირდაპირ შეუწყობს ხელს ქვეყანაში კონტრაბანდის მასშტაბების შემცირებას.

გენერალურ პროკურატურაში, როგორც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინატორ უწყებაში, გენერალური პროკურორის მეთაურობით სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელებმა შეიმუშაონ კონტრაბანდასთან ბრძოლის ერთიანი, შეჯერებული გეგმა და საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი.

ეროვნული უშიშროების საბჭომ შეიმუშაოს ნორმატიული დოკუმენტების პაკეტი ქვეყნის საზღვარზე და ეკონომიკურ სივრცეში სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების ე.წ. ძალოვანი სტრუქტურებიდან საფინანსო პოლიციისათვის გადასაცემად.

ჩოგბურთი

# ჩოგბურთელი თუ თოჯინა

## ანა კურნიკოვა, შესაძლოა, აქტიურ სპორტს ჩამოშორდეს



კურნიკოვა ვადამდელ პენსიაზე?

ზურგის ტრავმით გატანჯული ანა კურნიკოვა, შესაძლოა, ახლო მომავალში აქტიურ სპორტს შეეშვას. ამის შესახებ განაცხადა რუსი ჩოგბურთელის აგენტმა ფილ დე პიჩოტომ ფრანგულ "ეკიპთან" საუბარში: "მას იმდენად ცუდი მდგომარეობა აქვს, რომ, შესაძლოა, საერთოდ დაანებოს თავი ჩოგბურთის თამაშს. უკეთეს შემთხვევაში, ვარჯიშებისა და მატჩების რაოდენობის საგრძნობლად შემცირება მოუწევს".

ყველაფერი ზურგის ტრავმის ბრალიაო, საქვეყნოდ აცხადებენ ჩოგბურთელიცა და მისი აგენტიც, მაგრამ არც ტრავმის მიღებამდე ბრწყინავდა კორტებზე რუსი ლამაზმანი. თავისი რვაწლიანი კარიერის მანძილზე მას ერთეულთა თანრიგში ერთი ტურნირიც არ მოუგია. ყველაზე დიდი მიღწევა კი 1997 წლის უიმბლდონის ნახევარფინალში მონაწილეობაა. რაც შეეხება რეიტინგს, აქ ანას საკუთესო შედეგი მსოფლიოს მერვე ჩოგნობა იყო.

ბოლო ორი წელიწადია, რუს ჩოგბურთელს არავითარი წარმატებისთვის არ მიუღწევია. მართალია, ვერც ადრეული პერიოდის წარმატებებით დაიკვეხნის, მაგრამ თუ ადრე ორი ან სამი ეტაპის გავლას მაინც ახერხებდა, ბოლო წლებში ის თითქმის ყველა ტურნირზე პირველივე წრეში ამთავრებდა გამოსვლას. ამის გამო მან უფრო დაბალი რანგის ტურნირებზე, "ჩელენჯერზე" გამოსვლა გადაწყვიტა, რათა ფორმის აღდგენა მოეხერხებინა. თავის დროზე ასევე მოიქცა ანდრე აგასიც, მაგრამ, კურნიკოვასგან განსხვავებით, უმაღლესი დონის ტურნირებს ის მალევე დაუბრუნდა.

"ანას ძალიან უნდა, გააგრძელოს კარიერა და საამისოდ არაფერს იშურებს, მაგრამ, ვეჭვობ, ტრავმამ ამის საშუალება მისცეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გააგრძელებს თამაშს, მას სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალება არ მიეცემა, უამისოდ კი წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება", - აღნიშნა პიჩოტომ.

და მაინც, ასეთი რა ტრავმა აქვს კურნიკოვას? "ყველაფერი იმის ბრალია, რომ მან დროზე არ მიხედა თავს. ვერ ამიხსნია, რას უნდა შეეშალა ხელი ჩოგბურთელისთვის, რომელიც კარიერაზე ფიქრობს, ტრავმა დროულად მოერჩინა. ახლა მდგომარეობა რთულია. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ მის გამოჯანმრთელებას და ამის დიდი იმედიც გვაქვს, მაგრამ არც იმას დაგიმალავთ, რომ ეს ძალიან რთული და დიდი ხნის ამბავია. ასე უცებ ასეთ ტრავმას ვერ მოიშუშებ", - მაიამის ერთ-ერთი კლინიკის ექიმის, კოლინ მარტინის ეს სიტყვები ჩოგბურთელის გულშემატკივრებს იმედს უტოვებს, რომ ადრე თუ გვიან კურნიკოვა შეძლებს კორტზე დაბრუნებას და, რაც მთავარია, ერთი ტურნირის მოგებას მაინც.

რუსი ჩოგბურთელი, რომლის შემოსავლის მთავარი წყარო ჩოგბურთის თამაშის შედეგად მიღებული საპრიზოები კი არა, სარეკლამო რგოლებიდან აღებული ჰონორარები იყო, ამჟამად რეიტინგში 89-ე ადგილზეა. "ძალიან ვწუხვარ, რომ ასეა, მაგრამ ყველას ვპირდები, მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს დავიშურებ. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ მე, პირველ რიგში, ჩოგბურთელი ვარ და არა თოჯინა, რომელსაც ტურნირებზე მხოლოდ გარეგნობის გამო იწვევენ, რათა მაყურებელი გაერთოს. მინდა, რომ ისინი ჩემი თამაშით იყვნენ კმაყოფილები", - გულდაწყვეტილმა განაცხადა კურნიკოვამ. თავის დროზე რომ ეფიქრა ასე, იქნებ ახლა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ყოფილიყო...

TV-სპორტი

### პარასკევი. 1 აგვისტო

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World". აშშ. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "იუვენტუსი"
15:00 "FUTBOL MUNDIAL"
15:30 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" – "ბავარია"
17:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ფიორენტინა"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. "ტორპედო" - "ტორპედო-მეტალურგი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 საერთაშორისო ტურნირი. "Champions World". აშშ. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "იუვენტუსი"
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "აინტრახტი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:45, 17:00, 20:15, 21:30 პრეს-ცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები, ქალები
13:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
13:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
15:00 "ჰოკეის საღამო"
15:30 "კეგლის დროა"
16:00 ტაილანდური კრივი
17:15 "ბილიარდის მეუფენი"
17:40 ჰოკეი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. სტენლის თასი. ფინალი-2003
19:45 "სპორტული გლობუსი"
20:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური
21:00 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები, ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
01:10 ახალი ამბები
01:25 ტაილანდური კრივი

**EUROSPORT**

11:30 გოლფი. PGA ტურნირი. აშშ
12:30 მძლეოსნობა
13:00 მძლეოსნობა. გრან-პრი ავსტრიაში
15:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
16:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
18:00 ქალების ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში
19:45 მძლეოსნობა. გრან-პრი
21:00 ქალების ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში
22:45 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
01:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
01:30 ახალი ამბები
01:45 სუპერრბოლები უქმე დღეებში
02:45 ფორმულა 1
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# დევიდ ბექჰემი: „რეალს უდიდეს იმედებს ვუკავშირებ"

## პირველი ინტერვიუ "რეალში" გადასვლის შემდეგ

*მას შემდეგ, რაც დევიდ ბექჰემმა მადრიდის "რეალთან" გააფორმა კონტრაქტი, პრესის წარმომადგენლებს მასთან საუბრის საშუალება არ ჰქონიათ. "რეალის" აზიური ტურნეს მეექვსე დღეს, გუნდის პრესკონფერენციაზე, ნანატრი ბექჰემიც გამოჩნდა. სპორტკომპლექს "ჰონგტას" საკონფერენციო დარბაზში ისეთი აჟიოტაჟი ატყდა, რომ დარბაზში ყველა მსურველი ჟურნალისტი ვერ მოხვდა. მაშ ასე, მადრიდის "რეალის" 23-ე ნომერი ჟურნალისტთა შეკითხვებს პასუხობს.*




REUTERS

ბექჰემი "რეალში" თავს კარგად გრძნობს.

**- როგორ მოგწონთ მადრიდის "რეალი"?**

- ის საგრძნობლად განსხვავდება ყველაფერ იმისგან, რაც აქამდე მინახავს. წინასასეზონო მზადება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**- როგორ შეეწყვე გუნდს?**

- თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ჩემი ყველა თანაგუნდელი ცდილობს, დამეხმაროს. ისინი ინგლისურად მესაუბრებიან და უნდათ, ესპანური ენა შემასწავლონ. ყოველი მათგანი უდიდესი ფეხბურთელია და მათთან ერთად თამაში არაჩვეულებრივია.

**- ხომ არ დაიღალე იმით, რომ პრესა და გულშემატკივრები ყოველ ნაბიჯზე გითვალთვალებენ?**

- ამას უკვე მივეჩვიე, რადგან ინგლისშიც იგივე ხდებოდა. მაგრამ მე ერთადერთი არ ვარ. ხალხს ასევე აინტერესებს ჩემი თანაგუნდელების ცხოვრებაც. ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ ადამიანები მხარს მიჭერენ და ჩემს გვერდით არიან.

**- როგორ მიდის ესპანურის შესწავლის საქმე?**

- მეგობრები მეხმარებიან. მეორე დღესვე, მასაჟის კაბინეტში, რობერტო კარლოსმა რამდენიმე სიტყვა მასწავლა. ნელ-ნელა წინ მივიწევ.

**- კარლოს კეიროშმა მარჯვენა ფლანგზე გაგამწესა. რაიმე განსხვავებას თუ გრძნობ იმ ამპლუისგან, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედში" გქონდა დაკისრებული?**

- განსხვავება არის. მე აღარ მომიწევს ცენტრში გადანაცვლება. ვაღიარებ: ჩემი სურვილი ყოველთვის იყო მხოლოდ ფლანგზე თამაში.

**- რას ფიქრობ, რატომ არ გათამაშეს ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში "რეალის" წინააღმდეგ?**

- ეს წარსულია. "მანჩესტერში" გატარებული წლები ყოველთვის კარგ მოგონებად დამრჩება. ახლა მე მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი ვარ. ახლა მხოლოდ ჩემს კლუბზე ვფიქრობ. მე მოვედი უდიდეს კლუბში, რომელშიც გენიალური ფეხბურთელები თამაშობენ. ამ კლუბს მე დიდ იმედებს ვუკავშირებ.

# მიხაელ ბალაკი - წლის საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი

ნინო პირველი

ერთი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. ბუნდესნაკრების ლიდერი, 26 წლის მიხაელ ბალაკი, შარშან ლევერკუზენის "ბაიერის" მაისურით გახდა წლის საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი, წლევანდელი სეზონის ბოლოს კი ეს ტიტული მიუნხენის "ბაიერნში" ნაჩვენები კარგი თამაშისთვის დაიმსახურა. ჟურნალ "კიკერის" გამოკითხვის მიხედვით, ბალაკმა 263 სპორტული ჟურნალისტის ხმა მიიღო და მნიშვნელოვნად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ფრედი ბობიჩს. მესამე პოზიციაზეც "ბაიერნის" ფეხბურთელია - მიუნხენელთა ბრაზილიელი ფორვარდი ჯოვანი ელბერი. მეოთხე "შტუტგარტის" თავდამსხმელი კევინ კურანი გახლავთ, გასული წლის გმირი ოლივერ კანი კი მხოლოდ მეხუთე იყო. ზედიზედ ორჯერ საუკეთესოს წოდების მოპოვება ნამდვილად არ არის იოლი საქმე. ბალაკამდე ეს მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა შეძლო. სახელგანთქმული გიუნტერ ნეტცერი შორეულ 1972-73 წლებში იყო ყველაზე ძლიერი, 1977-78 წლებში ზეპ მაიერს არ ჰყავდა ბადალი, 1995-96 წლების სეზონში მათიას ზამერი ბრწყინავდა, 2000-01 წლებში კი ოლივერ კანის ზეობის ხანა იდგა. ამიერიდან ამ ოთხი შესანიშნავი ფეხბურთელის რიცხვს მიხაელ ბალაკიც მიემატა და ამით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი გერმანული ფეხბურთის ისტორიაში. ბალაკს, ამის შემდეგ მეტი რომ არაფერი გააკეთოს, საამაყოდ ეს ორი ტიტულიც ეყოფა. თუმცა, "ბაიერნის" ნახევარმცველი ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა იმისთვის, რომ მხოლოდ წარსული წარმატებებით დატკბეს და მომავალზე აღარ იფიქროს. "ეს აღიარება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობა მეკისრება. გერმანია მენდობა და მე ეს ნდობა უნდა გავამართლო. ძალიან მეამაყება, რომ უკვე მეორედ მომანიჭეს წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში კარგი თამაშია. მე უნდა დავამტკიცო, რომ შემთხვევით არ მიმიღია ეს ტიტული", - თქვა ბალაკმა, როცა "კიკერის" გამოკითხვის შედეგები გაიგო.



ბალაკი კვლავ საუკეთესოა.

ბალაკი მეტად პოპულარულია გერმანიაში. მას ფრანც ბეკენბაუერს ადარებენ და "საქსონელ პატარა კაიზერს" ეძახიან. "დიდ კაიზერს", ანუ თავად ფრანც ბეკენბაუერს, ძალიან მოსწონს ახალგაზრდა ნახევარმცველი. "ბაიერნის" ბოსს არაერთხელ უთქვამს, რომ გერმანიის ნაკრები ბალაკის გარეშე არარაობაა, რადგან ბალაკი გუნდის სული და გულია. როცა ბეკენბაუერმა შეიტყო, რომ მისი ფეხბურთელი კიდევ ერთხელ გამოარჩიეს და საუკეთესოდ დაასახელეს, ძალზე კმაყოფილი დარჩა: "ყველა იმ მოთამაშეთაგან, რომელთაც მე მადარებდნენ, ბალაკი ყველაზე ახლოს დგას ჩემთან. ის ლიდერადაა დაბადებული. როცა ბალაკი მოედანზეა, ყველამ კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს თვითონ და რა უნდა დაუთმონ ბალაკს. არ მეგულება ნახევარმცველი, რომელიც მასზე უფრო სახიფათოა მეტოქის საჯარიმოსთან. მას გოლის გატანის საოცარი ალღო აქვს", - შეაქო "კაიზერმა" ახალგაზრდა ფეხბურთელი.

ოლივერ კანისგან განსხვავებით, რომელიც ჯერ კიდევ რჩება გერმანელი ფანების კერპად, მიხაელ ბალაკი მეტად თავაზიანი და ზრდილობიანი პიროვნებაა. არასდროს ამბობს უარს ავტოგრაფების დარიგებაზე და ცდილობს, დიდებამ არ გააყოყოჩოს. ეს ყოველივე მის პოპულარობას და, შესაბამისად, ფინანსებსაც კიდევ უფრო ზრდის. ჯერჯერობით ბალაკის შემოსავალი წელიწადში 1,5 მილიონი ევროა. ოლივერ კანი მასზე ერთი მილიონით მეტს იღებს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე ბალაკი "ბაიერნის" მეკარეს დაეწევა და გაუსწრებს კიდეც. ოლივერ კანს მეტად მშფოთვარე წელიწადი ჰქონდა. პირად ცხოვრებაში შექმნილმა პრობლემებმა უარყოფითად იმოქმედა მის სარეკლამო სახეზე. ბალაკი კი, პირიქით, თავისი სიმონეს და ბავშვების ერთგულია, სანიმუშო მამად ითვლება. მას კარგი იმიჯი აქვს, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ, იაპონური "სონის" გარდა, მალე სხვა ფირმებიც მოისურვებენ მასთან ხელშეკრულების გაფორმებას. ყველაფერთან ერთად, გასულ სეზონში ბალაკს საუკეთესო გოლეადორის წოდების მოპოვების შანსიც ჰქონდა, მაგრამ ტრავმამ შეუშალა ხელი. საბოლოოდ მან 13 გოლი გაიტანა და ოდნავ ჩამორჩა სამხრეთამერიკელ თანაგუნდელებს: ჯოვანი ელბერს (21 გოლი) და კლაუდიო პისაროს (15 გოლი). მომავალ სეზონში ბალაკი უფრო მეტი გოლის გატანას აპირებს.

წლის საუკეთესო გერმანელი მწვრთნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, გახდა "შტუტგარტის" თავკაცი ფელიქს მაგატი, რომელმაც სასწაული მოახდინა. მისი ხელმძღვანელობით "შტუტგარტი" მეორე ადგილზე გავიდა და პირდაპირ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში. მეორე ადგილზეა "კაიზერსლაუტერნის" მხსნელი ერიკ გერეტსი, "კატენაჩოს გენერალი" ოტმარ ჰიტცფელდი კი მესამე იყო.

კრივი

# მუნჯური ფილმი ტაისონის მონაწილეობით

ბიბა ბურასაშვილი

საკმარისია, მაიკ ტაისონი სადმე გამოჩნდეს, უმალ ყურადღების ცენტრში მოექცევა ხოლმე. მნიშვნელობა არა აქვს, ცუდ გუნებაზეა თუ კარგზე, ყველა მის გალიზიანებს ცდილობს და ხშირად ეს ყველაფერი მათვის საბედისწეროდ მთავრდება. მაგრამ ტაისონის რეპუტაციის მქონე კაცს, მართალიც რომ იყოს, მართლმსაჯულების მსახურნი მაინც ალმაცერად უყურებენ. შარისთავები კი "რკინის მაიკისგან" სასამართლოს დახმარებით მილიონების დაცინცვლას ცდილობენ. მართალია, ამ შემთხვევაში საქმე მორალური ზარალის ანაზღაურებამდე არ მისულა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, გამორიცხული არ არის, 30 სექტემბრის სასამართლო დარბაზიდან ამერიკის გიჟმაჟი შვილი სატუსაღოში მიაბრძანონ. ტაისონისთვის ერთადერთ შვებად ისღა რჩება, რომ, შესაძლოა, მისი ბედი გაიზიარონ მომხდურებმაც, როგორც ინციდენტის თანამონაწილეებმა.

და მაინც, რა მოხდა?

მოგეხსენებათ, 21 ივნისს, გამთენიისას, ბრუკლინის "მერიოტის" სასტუმროს ჰოლში ტაისონმა რინგს მიღმა ჩხუბით შეაქცია სასტუმროს ადმინისტრაციის მოხელენი, როდესაც ვინმე სამუელ ველესსა და ნელსონ ალვარეს-რამოსთან მუშტიკრივი გამართა. როდესაც ჩხუბითა და აყალმაყალით შეზანზარებულმა სასტუმროს ბინადრებმა თვალი დააჭყიტეს და საკუთარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება მოისურვეს, პოლიციის მიერ დაკავებული ტაისონი და ის ორი ყმაწვილი შერჩათ ხელში. ბუნებრივია, ამ ამბავს უკვალოდ არ ჩაუვლია. დაინიშნა სასამართლო განხილვა. პირველივე, 24 ივნისის მოსმენისას, ბრუკლინის სასამართლოში ტაისონის ადვოკატმა მოსამართლეები კლიენტის უდანაშაულობაში დაარწმუნა და მოკრივე მალევე გაათავისუფლეს, თუმცა...



REUTERS

ტაისონი და მისი ადვოკატები ბრუკლინის სასამართლოში.

ყველაფერი თავდაყირა დადგა. სამშაბათს გამოაშკარავდა ერთი თვის წინანდელი პერიპეტიების ამსახველი ვიდეოკადრები, რაც საყოველთაო განსჯის საგანიც გახდა. ფირზე ნათლადაა აღბეჭდილი მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ის ავადსახსენებელი ჩხუბი, - ჩხუბი, რომელმაც ტაისონს ახალი თავსატკივარი გაუჩინა.

თავდაპირველად ცოტა რამ იყო ცნობილი იმაზე, თუ რა მოხდა სინამდვილეში. იტყობინებოდნენ, რომ ტაისონს თავს დაესხნენ და მანაც, მოგერიების მიზნით, მომხდურებს თავყბა გაუერთიანაო. ახლა შეგვიძლია, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ იმას, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. თავდაპირველად დაზარალებული მხარის ჩვენება მოვიშველიოთ.

37 წლის ტაისონი გამთენიისას, 5 საათსა და 32 წუთზე, ის-ის იყო, სასტუმროს შენობას ტოვებდა და აეროპორტისკენ უნდა წასულიყო, რომ ჰოლში ვინმე სამუელ ველესს, მის მეუღლეს თამარა ოქასიოსა და მათ მეგობარ ნესტორ ალვარეს-რამოს გადაეყარა. სამივე მათგანმა იცნო ცნობილი მოკრივე, მიუახლოვდნენ და ავტოგრაფი თხოვეს. თუმცა, მათი თხოვნა და ტაისონის დაძგერება ერთი იყო. ავტოგრაფებზე მონადირეებს სხვა გზა არ დარჩენოდათ, გარდა ერთისა - თავადაც შეტევაზე გადასულიყვნენ, რა თქმა უნდა, თავდაცვის მიზნით.

საინტერესოა, თვითმხილველთა, ამ შემთხვევაში, სასტუმროს ცხრა თანამშრომლის ჩვენებაც. მათი თქმით, მოვლენები შემდეგი თანმიმდევრობით განვითარდა. უცნობი სამეული, რომელიც ღამის წვეულებიდან ბრუნდებოდა, მართლაც, მიუახლოვდა მაიკ ტაისონს და ავტოგრაფები სთხოვა, მაგრამ მაიკმა ისინი უარით გაისტუმრა. როდესაც იმედგაცრუებული ავტოგრაფის მაძიებლები მიხვდნენ, რომ არაფერი გამოუვიდოდათ, მოსვირინგებული სახის თაობაზე ტაისონს მწარედ უკბინეს. თან, სიტყვა გადაუკრეს, შეიარაღებულები ვართო: თუ შენ მუშტები გაქვს, ჩვენ – იარაღიო და ერთ-ერთმა მათგანმა ტაისონისკენ გაიწია. გაქაჩვა ეგრე არ უნდაო და, "რკინის მაიკმაც" პროფესია გამოიყენა – მუშტი უთავაზა. შემდეგ უკან დაიხია, პიჯაკი გაიხადა, მკლავები დაიკაპიწა და ახლა უკვე ორივეს მიდგა. როგორც იმ დროს ჰოლში მყოფი სასტუმროს თანამშრომლები აცხადებენ, ტაისონმა ის ვაჟბატონები ერთი გემრიელად დააჩაქუჩა. იმ გაწევ-გამოწევაში ერთი-ორი ველესის ცოლსაც მოხვდაო. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც თვითმხილველთა ჩვენებებია. ახლახან სი-ენ-ენმა სასტუმროს ჰოლში დამონტაჟებული ვიდეოკამერით დაფიქსირებული მაშინდელი მოვლენები ჩაიგდო ხელში. ფირზე აღბეჭდილ ხელჩართულ ჩხუბში ძნელია იმის გამოცნობა, ტაისონი თავს იცავდა თუ პირიქით, რადგან არ არის აღბეჭდილი ის მოვლენები, რომელიც ჩხუბს წინ უძღოდა. გარდა ამისა, დაბალი ხარისხის ფირი მოვლენათა მკაფიოდ დანახვის საშუალებას არ იძლევა, მით უმეტეს, რომ კადრები შორიდანაა გადაღებული და, თანაც, ხმის გარეშე, ანუ მუნჯური.

ერთი სიტყვით, შემდეგი სასამართლო განხილვა 30 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. თუ ტაისონი დამნაშავედ ცნეს, მაშინ მას, სავარაუდოდ, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა ელის. არადა, თუ ამგვარ ნუსხას გადავხედავთ, ტაისონი ბოლო 11 წლის განმავლობაში ორჯერ იყო დატუსაღებული. მიუხედავად ამისა, ტაისონის ადვოკატი საკუთარ კლიენტს ანუგეშებს, რომ მას ციხეში ერთი წლით ყურყუტი არ ელის.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი პირველ ადგილზე აღმოჩნდა იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ბრიტანელებს სურთ იხილონ ფულის ბანკნოტებზე. ბექჰემს ხმა მისცა გამოკითხულთა 37%-მა. მეორე ადგილზე გავიდა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, მესამეზე - პრინცესა დაიანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შეიძლება ითქვას, რომ კატარში ისეთივე სატრანსფერო ციებ-ცხელებაა, როგორიც ევროპაში. ამ არაბული ქვეყნის გუნდები ყოველდღიურად ძლიერდებიან ევროპელი ვარსკვლავებით. კლუბმა "იტიჰადმა" ლონდონის "არსენალიდან" ნიგერიელი ნვანკვო კანუ შეიძინა. აფრიკელ თავდამსხმელთან "იტიჰადმა" სამშაბათს ლონდონში გააფორმა კონტრაქტი. 21 აგვისტოს ეს გუნდი გერმანიაში გაემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე და კანუც იქ შეუერთდება თავის ახალ კლუბს. "იტიჰადის" კონკურენტი "რაიანი" კი ესპანური ფეხბურთის ვეტერანთან, გვარდიოლასთან აწარმოებს მოლაპარაკებას. გვარდიოლა "რაიანის" მეორე ესპანელი მოთამაშე იქნება იმ შემთხვევაში, თუ ეს კლუბი "რეალის" ყოფილი კაპიტნის, ფერნანდო იეროს გადაბირებას მოახერხებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ცნობილმა პარაგვაელმა მეკარემ ხოსე ლუის ჩილავერტმა კიდევ ერთხელ განაცხადა იმის შესახებ, რომ არ აპირებს პარაგვაის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას. მიზეზი პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან არსებული კონფლიქტია. ფედერაციის პრეზიდენტმა ოსკარ ჰარისონმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ პარაგვაის ნაკრების კარი ღიაა ჩილავერტისთვის, თუმცა, თავად მეკარე ამ სიტყვებს არაფრად აგდებს. "ჰარისონს და ნაპუტს *(პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი)* არასოდეს დაურეკავთ ჩემთვის. მათ არ სურთ ამ პრობლემის გადაწყვეტა. ისინი მხოლოდ პრესით აკეთებენ განცხადებებს. ისინი ცუდად მომექცნენ და მე მივიღე გადაწყვეტილება, რომელსაც აღარასოდეს შევცვლი. მე კი არ მჭირდება პარაგვაი, არამედ პარაგვაის სჭირდება ჩილავერტი", - განაცხადა მონტევიდეოს "პენიაროლის" მეკარემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი ხუან რამონ რიკელმე ვერა და ვერ ახერხებს ახალი კლუბის პოვნას. არგენტინელს სურდა, მშობლიურ "ბოკა ხუნორსს" დაბრუნებოდა. გუნდის მწვრთნელთან კარლოს ბიანკისთან მას შეხვედრაც კი ჰქონია, თუმცა, "ბოკას" პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ მას ყველა იმედი გადაუწურა: "რიკელმეს დაბრუნება ჩვენი ოცნებაა. თუმცა, ჩვენ არ შეგვწევს მისი ხელფასის გადახდის უნარი. ასე რომ, რიკელმე ჩვენთან ვერ ითამაშებს. ცნობილია, რომ რიკელმეს გადაბირებით მექსიკური კლუბები, "კრუზ აზული" და "ამერიკა" არიან დაინტერესებული, მაგრამ ჯერჯერობით ვერც მათთან მოხერხდა საერთო ენის გამონახვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის "მაიორკას" პრეზიდენტმა მატეო ალემანიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ არ აპირებს ლონდონის "ჩელსისთვის" კამერუნელი ფორვარდის სამუელ ეტოოს მიყიდვას. "ის ჩინებული ფეხბურთელია და ჩვენს კლუბშიც კარგად გრძნობს თავს. ასე რომ, არავითარი საბაბი არა გვაქვს იმისთვის, რომ ის გავყიდოთ", - აღნიშნა ალემანიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ კაუნასიდან გაფრენილი "სელტიკის" ფეხბურთელები მცირე შოკში ჩავარდნენ. როცა თვითმფრინავმა სიმაღლე აიღო, სიმაღლის ინდიკატორი და კიდევ ერთი მოწყობილობა მწყობრიდან გამოვიდა. პილოტები იძულებული გახდნენ, თვითმფრინავი უკან, კაუნასში დაებრუნებინათ. "გამოგიტყდებით, შემეშინდა, როცა გავიგე, რომ რაღაც მოწყობილობები მწყობრიდან გამოვიდა. მცირე შოკშიც კი ჩავვარდი, მაგრამ ღმერთის იმედი მქონდა - ის არ გაგვწირავდა", - განაცხადა შოტლანდიელთა შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** NBA-ს ჩემპიონმა "სან ანტონიომ" ორ თავისუფალ აგენტთან გააფორმა კონტრაქტი. მომავალი სეზონიდან კლუბის ღირსებას ენტონი კარტერი და დევინ ბრაუნი დაიცავენ. ჩემპიონის ხელმძღვანელობას განსაკუთრებით კარტერთან გაფორმებული კონტრაქტი ახარებს, თანაც, მოთამაშე მათ უფულოდ ერგოთ. "ენტონი ძალიან კარგი მოთამაშეა. მას როგორც სასტარტო ხუთეულში, ისე შეცვლაზეც შეუძლია კარგად თამაში", - ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** შესაძლოა, რუსი მარატ საფინისთვის მიმდინარე საჩოგბურთო სეზონი დასასრულს მიუახლოვდეს. ლოს ანჯელესში მიმდინარე ტურნირის პირველივე მატჩში, ინდოელი პრაკაშ ამრიტრაის წინააღმდეგ საფინმა მხოლოდ რვა გეიმი ჩაატარა. აქედან ხუთი წააგო, ხოლო ამის შემდეგ უარი განაცხადა თამაშის გაგრძელებაზე. "მე ისევ ტრავმა მივიღე. მთელი მატჩის განმავლობაში ტკივილი მაწუხებდა. ამიტომაც გადავწყვიტე, თამაში აღარ გამეგრძელებინა. მიმდინარე სეზონი დასასრულს უახლოვდება. ალბათ, სჯობს, მომავალი სეზონისთვის დავიწყო მზადება", - განაცხადა საფინმა.

## შოუ-ბიზნესი

### "ზღაპრის თეატრი" რეგიონებში

თბილისის საბავშვო "ზღაპრის თეატრი" საქართველოს რეგიონებში საგასტროლოდ ემზადება. სპექტაკლების პარალელურად გაიმართება თეატრალიზებული, ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული გაკვეთილები. პროექტის ავტორია გაეროს ბავშვთა ფონდის "იუნისეფის" საქართველოს ოფისი.

როგორც ოფისის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა მაია ქურციკიძემ თქვა, სპექტაკლებს ადგილობრივი თეატრებისა და კულტურის სახლების სცენებზე "ზღაპრის თეატრის" მსახიობები წარმოადგენენ. ქურციკიძის თქმით, პროექტი ნოემბრამდე გაგრძელდება და სავარაუდოდ, სულ 25 ათას ბავშვს გაახალისებს. სექტემბრიდან კი "ზღაპრის თეატრის" სპექტაკლებს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები ორგანიზებულად დაესწრებიან. **მედია-ნიუსი**

### გარდაიცვალა სემ ფილიპსი



პრესლის პირველი პროდუსერი

მუსიკალური ინდუსტრიის ლეგენდა, ხმისჩამწერი სტუდია "სან რექორდსის" დამაარსებელი, სემ ფილიპსი 80 წლის ასაკში, მემფისის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ითვლება, რომ ფილიპსის მთავარი მონაპოვარი შოუ-ბიზნესში ელვის პრესლია; ასევე მან განსაზღვრა ისეთი შემსრულებლების კარიერა, როგორებიც იყვნენ: ბი ბი კინგი, კარლ პერკინსი, ჯონი ქეში, ჯერი ლი ლუისი. ფილიპსმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბლუზის პოპულარიზაციაში და ითვლებოდა როკ-ენ-როლის ერთ-ერთ პიონერად.

### საოჯახო გატაცება

სამსახიობო გამოცდილების, თეატრალური დებიუტისა და საბავშვო მწერლობის მოსინჯვის შემდეგ, მადონამ კიდევ მოიფიქრა ახალი. თუმცა, ამჯერად მის გადაწყვეტილებაზე ალბათ გარკვეული ზემოქმედება მეუღლის პროფესიამ მოახდინა. პოპ-ვარსკვლავმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მიუბრუნდეს კინემატოგრაფს. მაგრამ ამჯერად ის რომანტიკული კომედიის She Rocks-ის აღმასრულებელი პროდიუსერის ამპლუაში გამოჩნდება.

ფილმი მუსიკალურ ჟურნალისტზე, ემი შტეირის რეჟისორული დებიუტი იქნება. მთავარ როლს შეასრულებს ამანდა პიტი. გადაღებები შემოდგომაზე დაიწყება.

### როკ-ფესტივალი ტორონტოში

ტორონტოში დაიწყო გრანდიოზული როკ-ფესტივალი, რომელიც კანადის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენადაა აღიარებული. მთელი დღის განმავლობაში, შეუჩერებლად, ღია ცის ქვეშ მოწყობილ მოედანზე კანადელები მსოფლიოს როკ-ვარსკვლავებს იხილავენ.

კონცერტი ლეგენდარულმა "როლინგსტოუნზმა" გახსნა. სხვათა შორის, "სტოუნზებმა" ამ ღონისძიების გამო საკუთარი ევროპული ტურნე შეწყვიტეს. კონცერტი ასევე შეეწია ტურისტულ ბიზნესს, რომელსაც გარკვეული დანაკარგი მოუტანა ატიპური პნევმონიის პანიკამ.

ფესტივალმა ტორონტოში როკ-მუსიკის მილიონნახევარზე მეტი ფანი შეკრიბა.



"როლინგ სთოუნზი"

# ყინული დაიძრა

*შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და კინომცოდნე ბატონი გოგი დოლიძე და მისი სტუდენტები ხანმოკლე ვიზიტით თურქეთში იმყოფებოდნენ. რატომ, რა მიზნით - ამის თაობაზე ბატონ გოგი დოლიძეს ვესტუმრეთ უნივერსიტეტში.*



გოგი დოლიძე თავის სტუდენტ-თარჯიმანთან მემედ მელექთან ერთად



გოგი დოლიძე თავის სტუდენტებთან ერთად

**- ბატონო გოგი, გთხოვთ გაგვიზიაროთ თურქული შთაბეჭდილებები.**

- სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყნებს, უახლოეს მეზობლებს შორის არანაირი კინემატოგრაფიული თანამშრომლობა არ არსებობს. მიმაჩნია, რომ ეს სირცხვილია. პრაქტიკულად ჩვენ დავიწყეთ... ასევე გამოვედი თურქეთის ტელევიზიით და ეს გადაცემა 4-ჯერ გაიმეორეს.

**- სირცხვილში რას გულისხმობთ?**

- ყველა ღირსეული ადამიანი, სახელმწიფო ისწრაფვის ჰქონდეს ნორმალური ურთიერთობა ნებისმიერ ქვეყანასთან, მითუმეტეს უახლოეს მეზობელთან... ვინც არ უნდა იყოს შენი კარის მეზობელი, შენი ახლობელი უნდა იყოს. მით უმეტეს, ჩვენთან, სადაც მეზობლის ინსტიტუტი ისეთ მაღალ დონეზე იყო; უცხოელ კაცს უჭირს ამის გაგება. მთელი საუკუნეა არსებობს კინემატოგრაფი და ჩვენ და თურქებს არანაირი ურთიერთობა არ გვქონია. ქართული ფილმის უმდიდრეს ისტორიაში დღემდე არ არსებობს ქართულ-თურქული ერთობლივი ფილმი. არ არსებობს თურქულ თემატიკაზე გადაღებული არც ერთი ფილმი, თქვენ წარმოიდგინეთ, რაიმე სიუჟეტიც კი...

**- ამის მთავარი მიზეზი რა უნდა იყოს?**

- ამის მიზეზი იყო რუსეთი. საბჭოთა იდეოლოგიამ ჩვენ შორის ისეთი კედელი აღმართა, რომ ბათუმიდან თურქეთისკენ ვერ გაიხედავდი, მაშინ, როცა თვითონ რუსები ამას შესანიშნავად აკეთებდნენ. პირველი ფაქტი: იუტკევიჩი 1934 წელს ჩადის თურქეთში და იღებს ფილმს "Анкара Сердце Турций". გადის სამი წელი და ჩადის შუბი და იღებს ფილმს "Турция на подъеме". ეს არის ერთობლივი დოკუმენტური ფილმები. ახლა მხატვრული კინო ავიღოთ, 2 ფილმია გადაღებული ნაზიმ ჰიქმეთის მიხედვით. ახლა დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ მაინც ვერ მოვაბით ამას თავი. ფანჯარა თურქეთისკენ დაკეტილი იყო... 5 წლის წინ შევეცადე გამეღო ეს ფანჯარა, გავაღე კიდეც... თურქი პროფესორი მოვიწვიე თბილისში, ჩემთან სახლში ცხოვრობდა. მაშინ არ გვქონდა საშუალება სასტუმრო გადაგვეხადა, ვუჩვენეთ ფილმები... შემდეგ მე მიმიწვიეს ანტალიის საერთაშორისო კინოფესტივალზე... ჟიურის წევრი გახლდით. მაინც ვერ შედგა საქმიანი ურთიერთობა.

**- რატომ?**

- სახელმწიფო სტრუქტურები არ ჩაერია და ამის გამო. ახლა რასაც გიყვებით, ყველაფერი იზმირში გაკეთდა. იქ საქართველოს საკონსულოა, რომლის საპატიო წევრი ნურეთინ ჩარმიქი გახლავთ, ძალიან ღირსეული პიროვნება. მას საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა. აგრეთვე დიდი დახმარება გაგვიწია მაყვალა ხარებავამ, კონსულის თანაშემწემ. მან 8 თვის განმავლობაში, თვითონ მოამზადა ყველაფერი, დაგვაკავშირა სასურველ პიროვნებებთან, რომ იტყვიან, "ჩაგვახუტა". ეს ისეთი რთული ამბავია... ეს არ იყო, რაღაც Увеселительная прагулка... ქართული კინოს შესახებ თურქულ და ინგლისურ ენებზე ბროშურა გამოიცა. ტექსტი ჩემია... ჩასვლისთანავე შეიქმნა ოთხი მასტერ კლასი....

**- ვინ დააფინანსა გამგზავრება?**

- გამგზავრება, ტრანსპორტირება ჩვენი იყო... სხვა დანარჩენი იმათი...

**- რა პროგრამა ჩაიტანეთ?**

- ჩავიტანეთ უბრწყინვალესი პროგრამა, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას, ნებისმიერ საერთაშორისო კინოფესტივალს დაამშვენებდა. "აკაკის მოგზაურობა", "ჩემი ბებია", "მაგდანას ლურჯა", ჩოხელის "ცოდვის შვილები", დათო თაყაიშვილის მულტფილმი "ჭირი", ჯანელიძის "იავნანა" და სხვა. მთავარია აგრეთვე ის, რომ საერთაშორისო პრემიერებით დახუნძლული ჩვენი სტუდენტური ფილმები შესაფერისად წარვადგინეთ. მაგალითად, ხონელიძის "პატარა მეგობრები". ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ ურთიერთობა არა მარტო მეზობლობის გამო გვქონდეს, არამედ, როგორც პარტნიორთან. ამ ყველაფერს საფუძველი ჩაეყარა, ხელშეკრულების ტექსტი ხელმოწერილ იქნა, სადაც გათვალისწინებულია, რომ სტუდენტური შეხვედრა ყოველ სემესტრში შედგება; ჩვენ შევუდექით მუშაობას, ჩვენი კინომცოდნე ნინო ერემაძე წერს სადიპლომო ნაშრომს თურქულ კინოზე. იზმირ გუინეე პირველი თურქი იყო, რომელმაც კანის ფესტივალზე პრიზი მოიპოვა 1982 წელს. სხვათაშორის, ახლა რომ გაიმარჯვა ჯეილარმა, თავისი პრემია ამ კაცს უძღვნა (უკვე გარდაცვლილია). კაცი, რომელიც ციხიდან იღებდა ფილმებს. ჩემი სტუდენტი აკეთებს სადიპლომო ნაშრომს თურქულ კინოზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თურქებმაც უნდა გააკეთონ ნაშრომი ქართულ კინოზე. უპირველესად მინდა გადავიღოთ დოკუმენტური ფილმი, მხატვრული კი სამომავლოდ. ფილმი ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ქვეყნის წინაშე... თურქეთში 3 კაცია საქართველოს საპატიო მოქალაქე. მათ შორის ერთი ლორთქიფანიძეა. სახელმწიფო მინისტრი იყო.

**- თურქეთში რომ ჩახვედით, რას ელოდით და რა დაგხვდათ?**

- იქ რომ ჩავედით, ახალი ის დაგვხვდა, რომ გიორგი ხარებავას ფილმმა "უნამუსომ", რომელსაც უკვე ორი საერთაშორისო პრემია ჰქონდა აღებული, კიდევ მიიღო პრიზი ნიუ იორკის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კინოფესტივალზე, რეჟისურაში. ეს ისეთი პრესტიჟული ფესტივალია, სადაც არც ერთი ქართული ფილმი არ მოხვედრილა.

შევქმენით 4 მასტერ ჯგუფი, შევიმუშავეთ 4 მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროექტი, საბოლოოდ შერჩეულ იქნა სცენარი და დავიწყეთ ფილმი. 3 დღეში სტუდენტებმა ჩემი ხელმძღვანელობით 3 პატარა ფილმი გადაიღეს, დაამონტაჟეს და ვაჩვენეთ. აქ ოპერატორები, ხმის მემონტაჟე, თუ ურიკის დამტარებლები, მსახიობები - ყველაფერს ჩვენი სტუდენტები აკეთებდნენ.

3 დღეში სამი ფილმის გადაღება იოლი არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყინული დაიძრა. რაც არ უნდა პრიმიტიულად გეჩვენოთ, მაინც არსებობს ქართულ-თურქული ერთობლივი 3 ფილმი... დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული... მინდა, აღვნიშნო, რომ 80-იანი წლების შემდეგ თურქულმა კინომ კიდევ გაიმეორა ნამდვილი გმირობა: კანის ფესტივალის მთავარი პრიზი, ორმა მსახიობმა, კი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მოიგო პრიზი. ახლა შემახსენეთ ასეთი წრამატება ჰქონდა ქართულ კინოს? არ ჰქონია. 1956 წელს "მაგდანას ლურჯამ" გაიყო მეორე ადგილი...

ეს გახლავთ ძალაინ დიდი მიღწევა, კანის ფესტივალი ხომ კინო-ფესტივალების მწვერვალი არის.

**- და ბოლოს, რას დაამატებდით?**

- მთავარი, რაზედაც ჩემი ყურადღებაა მიპყრობილი, ის არის, რომ როცა თურქეთზე ლაპარაკობ, არ უნდა დაგვავიწყდეს - დღეს იქ 2-ჯერ უფრო მეტი ქართველია, ვიდრე საქართველოს მოსახლეობა.

**- ე.ი. გამოდის, ჩვენს ხალხზე ზრუნავთ...**

- რა თქმა უნდა... იცით, რა ხდება ახლა, გვარებს იბრუნებენ... ეს ადრე შეუძლებელი და მიუღწეველი იყო.

# ასეთი ქალები რუბენსს მოსწონდა



რუბენსის გმირი დღეს.

საზეიმო მუსიკის თანხლებით საცეკვაო სკოლის დარბაზის პრიალა იატაკზე ახალგაზრდა ქალები დააბიჯებენ. ხუთ-ხუთი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფები აქ ცეკვის ხელოვნებას ეუფლებიან. ეს მოდელები არიან, რომლებიც გადაღებებში იღებენ მონაწილეობას. მაგრამ ამჯერად თხელ თინეიჯერებთან კი არა, მოწიფულ და საკმაოდ ჩამრგვალებულ მზეთუნახავებთან გვაქვს საქმე. 20 ფერხორციანი ქალი გერმანია და ავსტრიიდან სააგენტო MOS Big Beauty-ის ყოველწლიურ შესარჩევ ტურში იღებს მონაწილეობას. მათი ნაწილი პოდიუმზე ცდის ბედს, ნაწილს კი მსგავსი ამბიციები არ ამოძრავებს, უბრალოდ თანამოაზრეებთან ურთიერთობით იქცევს თავს.

კონკურსის შესახებ თავად სააგენტოს ხელმძღვანელი, ინგრიდ მარტინ-ციკი მოყვა: "ჩვენ სიამოვნებით ვიხილავთ ჩვენს სააგენტოში ყოველ ლამაზ, "ნორმალურ" ქალს, რომელსაც ქალური ფორმები აქვს. მაგრამ კონკურსში წარმატების მისაღწევად მხოლოდ დიდი უკანალი და თვალშისაცემი ზომის მკერდი არ კმარა. ჩვენთვის მთავარი მაინც მოდელის პიროვნული ხიბლი და გრაციოზული მოძრაობებია."

ეს 32 წლის ქერა ქალბატონი, რომელიც 44/46 ზომის ტანსაცმელს ატარებს, თავის დროზე ასეთივე კონკურსის მონაწილე იყო. 1999 წელს ის ათასი ქალიდან "მის მხიარულ ზომად" აირჩიეს, ხოლო 2001 წელს მან საკუთარი სააგენტო დააარსა. "ხალხს არაბუნებრივად გამხდარი მოდელები ყელში ჰყავს ამოსული," განაცხადა მან, "თან მათი შემყურე პატარა გოგონები სულ მთლად დაგიჟდნენ და შიმშილით იკლავენ თავს. არადა, ასეთი ქალები რუბენსს მოსწონდა, და არც ენ-ნიკოლ სმიტი დაუწუნია ვინმეს მისი ფორმების გამო".

ტანსაცმლის ინდუსტრიის მესვეურებს უტყუარი მონაცემები აქვთ: დღეს ქალების დაახლოებით ნახევარი 40/42 ზომის სამოსს ყიდულობს. მართალია, მეტისმეტად მსუქან ქალებს MOS-შიც არაფრის შანსი არა აქვთ. "ჭამა კი კარგია, მაგრამ სქელი არ უნდა გახდე," თვლის ქალბატონი მარტინ-ციკი, რომელიც ყველაფერში ზომიერების მომხრეა. "მსუქან ქალებსაც ჯანსაღი კვება და სპორტი სჭირდებათ, თუნდაც იმისთვის, რომ ლამაზად მოძრაობდნენ".

ამ სააგენტოში გადაღებების დროს უშუალო და ლაღი განწყობა სუფევს, კონკურენციის შეგრძნება არავისა აქვს. მონაწილეთა უმრავლესობა თავის კილოგრამებს არც ითვლის. "პროპორციული ვარ და ვიცი, რომ კარგი გამოსხივება მაქვს," განაცხადა ფრიად თავდაჯერებულმა 23 წლის ტიროლელმა ჟასმინმა. 21 წლის ანიკამ ბრძანა, რომ ისინი, ვისაც მისი გარეგნობა არ მოსწონთ, არც მას აღელვებენ დიდად, ხოლო 24 წლის ანდრეამ პირდაპირ თქვა: "მე ჩემი სხეულით ძალიან კმაყოფილი ვარ".

ვისაც გაუმართლებს, ის ქ-6 მარტინ-ციკის სარეკლამო კამპანიებში მიიღებს მონაწილეობას: ფირმების რეკლამებში, მოდების კატალოგებსა და ბაზრობებში მონაწილეობისთვის იქნება მიწვეული და პოდიუმზეც გაივლ-გამოივლის.

# ფესტივალი კემბრიჯში

## ფოლკ-მუსიკის ზეიმი დაიწყო

ვერა ნეფარიძე

*გუშინ კემბრიჯში რიგით 39-ე ფოლკ-ფესტივალი დაიწყო. თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ღონისძიება ყველაზე პრესტიჟულ და უკონკურენტო მსოფლიო ფორუმად იქცა ხალხური მუსიკის შემსრულებელთა და მოყვარულთა შორის. ბრიტანული ტრადიციული მუსიკის ზეიმი ინგლისის ინტელექტუალურ ქალაქში 3 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება.*




Fairport Convention

2003-ს თუ გამოვაკლებთ 39-ს მივიღებთ 1964-ს. ეს კი სწორედ ის პერიოდია, როდესაც სრულიად ახალგაზრდა ამერიკელმა ფოლკ-როკ მუსიკოსებმა და პოეტებმა – ბობ დილანმა, ჯოან ბაეზმა, პოლ საიმონმა, გადაწყვიტეს გარკვეული ხიდი გაედოთ უბრალო საგიტარო ხალხურ სიმღერასა და "ბიტნიკების" მეამბოხე-ინტელექტუალურ პოეზიას შორის. ენის ბარიერის არარსებობის წყალობით, წამიერად მოხდა ახალი კულტურის ოკეანისმიღმა გატანა. ბიტლომანიის ეპოქის გაბრწინებისას კემბრიჯელმა ინტელექტუალებმა ასე დააარსეს ადგილობრივი ფოლკ-ფესტივალი.

თავიდან წინააღმდეგობა აკუსტიკურ ფოლკსა და ელექტრონულ როკს შორის, ძლიერი იყო. ისტორიას ახსოვს კიდეც ამის ნათელი მაგალითი ერთი ეპიზოდის სახით: როდესაც 1965 წელს სცენაზე მყოფმა ბობ დილანმა მოისურვა აკუსტიკური გიტარის ელექტრონულით შეცვლა, აუდიტორიიდან მოისმა ყვირილი: "იუდა!" დროთა განმავლობაში როკ-ჯგუფების სიმღერების ტექსტები სერიოზული ხდებოდა და ფოლკის ფანებიც დარწმუნდნენ, რომ ელექტროინსტრუმენტების გამოჩენა არანაირად არ ნიშნავდა ხალხური მუსიკის იდეალების შეცვლას.



ბობ დილანი



ჯოან ბაეზი

აქედან, უფრო სწორად კი 60-იანი წლების მეორე ნახევარი და 70-იანი წლების დასაწყისი ბრიტანული ფოლკ-როკის ოქროს ხანად ითვლება. თვით "ლედ ზეპელინიც" კი ტრადიციული მუსიკის თაყვანისმცემლებისთვის მღეროდა ტრადიციულ ინგლისურ სიმღერებს; ერთხელ მათ ფოკლის მომღერალს სენდი დენისაც კი შესთავაზეს ერთობლივი გამოსვლა.

Fairport Convention, Incredible String Band, ნიკ დრეიკი, ბილი ბრეგი, ნიკ ქეივი, ელვის კოსტელო, რაი კუდერი, დონოვანი – იმ მუსიკოსთა ჩამოთვლა, რომლებიც წლების განმავლობაში გამოდიოდნენ კემბრიჯის ფოლკ-ფესტივალზე, უსასრულოდ შეიძლება. აღარაფერს ვამბობთ ფოლკ-მუსიკის აღიარებულ ვარსკვლავებზე, რომლებიც ხანგამოშვებით სტუმრობენ კემბრიჯის ღონისძიებას. მაგალითად, 2000 წელს წლის მუსიკალურ მოვლენად მიიჩნიეს კემბრიჯში ჯოან ბაეზის საკონცერტო გამოსვლა. წლევანდელ ფესტივალზე დიდი სახელების გამოჩენა დაგეგმილი არ არის. მაგრამ, ეს ხომ პოპ-მუსიკა არ არის. იქ მხოლოდ პროფესიონალები მონაწილეობენ. თითოეული მათგანის გამოსვლა კი დიდი ზეიმია ფოლკის მოყვარულებისთვის.

კემბრიჯის მუსიკალური ღონისძიება სწორედ ფოლკ-ფესტივალად რჩება. ორგანიზატორების მტკიცებით, ისინი არ აპირებენ გადაუხვიონ არჩეულ გეზს და თავიანთი პირმშო გადააქციონ ე.წ. world music-ის ფესტივალად. ბრიტანული და ირლანდიური ფოლკი კემბრიჯის ფესტივალის პროგრამის ძირითად ღერძად რჩება.

# ემინემი მარტო დარჩა



ემინემი კარგ ხასიათზეა.

ხანგრძლივი უსიამოვნებებისა და შერიგებების შემდეგ მომღერალმა ემინემმა და მისმა მეუღლემ კიმ სკოტმა განშორება გადაწყვიტეს. უკანასკნელ დღეებში პოპულარულმა მომღერალმა მოულოდნელად პრესას "გული გადაუშალა". მუდამ მკაცრი და ცინიკური იმიჯის მუსიკოსისგან განსაკუთრებით მოულოდნელი იყო განცხადება, რომ ის აღარასდროს დაქორწინდება.

"განქორწინება ყველაზე მძიმე იყო იმ ამბებს შორის, რაც კი ცხოვრებაში გადამიტანია, - თქვა პოპულარულმა მომღერალმა ტაბლოიდი "სანის" ჟურნალისტთან ინტერვიუს დროს, - კიმს მთელი ცხოვრების განმავლობაში ვიცნობდი. ის ჩემთვის პირველი და ერთადერთი გოგონა იყო, რომელიც კი ოდესმე მყოლია. წარმოიდგინეთ, შენ იზრდები მასთან ერთად და ბოლოს აღმოჩნდება, რომ გაურკვეველი მიზეზის გამო, მას შენთან ყოფნა აღარ უნდა. ჯერ არ იცი რა უნდა მოიმოქმედო... თავიდან ყველაფერში საკუთარ თავს ვადანაშაულებდი. მაგრამ, როდესაც ყველაფერი გავაანალიზე, დავრწმუნდი, მე და ჩემი კარიერა ნამდვილად არაფერ შუაში ვართ".

ემინემის თქმით, ყველაფრის მიუხედავად, წყვილი ერთმანეთს ხანგამოშვებით შეხვდება. "ჩვენ ხშირად ვისაუბრებთ. შეგვეძლება ურთიერთობა", - ვარაუდობს მომღერალი. რამდენად იმოქმედებს ოჯახური დისკომფორტი ემინემის შემოქმედებაზე, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ.

## TV პროგრამა
1 აგვისტო

### რუსთავი - 2
**08.00** კლასიკა **08.25** სერიალი „კომპიუტერული ომები" **08.50** სერიალი „ელექტრონოკის თავგადასავალი" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი „შავი ზეცა" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.20** სერიალი „კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი „მაშველები" **19.40** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ.ფილმი „შეუსრულებელი მისია". მთ. რ-ში: ტომ კრუზი, ჯონ ვოიტი. **03.30** მხ.ფილმი „გლადიატორი". მთ. რ-ში: რასელ ქროუ, ჰოაკინ ფენიქსი.

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი „ხვალ ყველანი უკეთ ვიქნებით" **11.35** დოკ.სერიალი „ამსტერდამის ზოოპარკი" **11.45** ტელესერიალი „ძილის წინ" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა" **13.00** დოკ. სერიალი „ტექნოპოლისი" **14.00** სერიალი „ქალთა სავანე" **15.15** მხ. ფილმი „ამფეთქებელი" **16.45** დოკ.სერიალი „ავანტიურისტი მედიკოსები" **17.15** 50-50 **18.00** „ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" **18.35** ზასტი-ბუზუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.25** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.00** მაგთიტრონი **21.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა" **22.05** შეხვედრები ფიქრის გორაზე **22.45** ტელესერიალი „ძილის წინ" **23.00** „რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი „გადამჭრელი".

### პირველი სტერეო
**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ოპერაცია „ი" მთ. რ-ში ა. დემიანენკო, ა. სმირნოვი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო" „მდივანი ქალი" მთ. რ-ში ჯეიმს სპეიდერი. **02.15** „ღამურა" „სურვილების შემსრულებელი". მთ. რ-ში ტემი ლოურენი, ტონი ტოდი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი
**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი „რვაფეხა" **20.30** ენერგია **21.00** საქართველო არის ესე **21.20** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი „სიკვდილის მიზეზი".

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი „მილიონერთა ექსპრესი" **13.30** მხ.ფილმი „პონეტი" **15.00** მხ.ფილმი „სასიკვდილო იარაღი 4" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მულტფილმი „პიტერ პენი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „გაქცევა" **22.30** მხ. ფილმი „ანდროიდების კოლონია".

### იბერია
**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „გარდასახვის ოსტატი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **15.15** მხ.ფ. „პარასკევი საღამო" **17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკჰოლი **22.15, 23.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი „მეოთხე ტენორი" **02.10** ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა „დილა" **10.00** სერიალი „ჯონ როსი" **10.30** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი" **11.00** მხ. სერიალი „პოლიციელი ქალი" **11.55** „ცხელი ცხრიანი" **12.40** მხ. ფილმი „ვამპირი" **14.15** „ტელემეტრი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ქართული ფეხბურთი" **15.20, 16.20, 17.20, 17.50, 19.50, 22.10** მუსიკა **15.30** სერიალი „ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი „ფოტორობოტი" მე-3 ს. **18.05** სერიალი „ჯონ როსი" **18.25** მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი" **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია" **21.15** სერიალი „ციებ-ცხელება" **22.00** „ღამის მატარებელი" **00.20** მხ. ფილმი „მაცდური ანუ ეშმაკის თამაში".

### იმედი
**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი" **10.30** სპორტ. პროგრამა „ასი" **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი „ერთად სიკვდილი" **17.30** „მულამები" **18.05** სერიალი „იუდას ქალი" **19.30** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია" **22.55** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ" **23.55** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **00.50** არტ-ფილმი „გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი".

### აჭარა
**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** კომედია „ასტერიქსი და აბელიქსი კეისრის წინააღმდეგ" **10.55, 13.40** მუსიკა **11.05** მელოდრამა „მისი უკანასკნელი სიყვარული" **12.10** მხატვრული ფილმი „სისხლიანი სპორტი: წყვდიადის ფერი" **14.15** კომედია „მოჩვენებაზე მონადირეები" **16.10, 19.10, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი „ჯუნგლების მეფე" **17.35** მხატვრული ფილმი „შიშის ქალაქი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.40, 22.40** Пресс-папье **19.45, 22.45** მუსიკა **20.10** დრამა „ყვირილი" **23.00** „ალტერნატივა" **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00, 03.20** მუსიკა **01.10** მხატვრული ფილმი „სიყვარულით რუსეთიდან" **03.50** დრამა „სიბნელეში მოცეკვავე".

### VII არხი
**09.15** მელოდია **09.35** „აჩიკუდა" **09.55** კომპიუტერული ტექნიკა **10.35** მელოდია . **10.55** მობილურები **11.45** დისნეი და მისი მეგობრები **12.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.35** „მელოდია" **12.45** კომპიუტერული თამაშები **12.55** „მელოდია" **13.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა" **19.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.00** იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლები **20.20** კომპიუტერული თამაშები **20.30** დოკ.ფილმი „ბრძოლა წესების გარეშე" **21.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.05** „კინოკლუბი „ - „თეთრი ელვა".კომედია . რეჟისორი: როჯერ კორმანი. როლებში: ოლივიე გრიუნერი, ვორვიკ დევისი. **23.25** მობილურები **00.20** ტელესერიალი - „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-5 სერია **00.50** მელოდია .

### OPT
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Королева Марго" 12.00** „Человек и закон" **12.40 Сериал „Твинисы" 13.15 Комедия „Сильва", 1 и 2 с. 16.20** Док.сериал „Дикие штучки" **16.45 Худ.фильм „Я не виноват" 18.30** Док. детектив „Жертвы по объявлениям. Дело 2001г." **19.20** Док.фильм „Валентина Леонтьева. От всей души" **19.55 Худ.фильм „Ниро Вульф и Арчи Гудвин" 20.55** „Поле чудес" **22.00** „Время"
**22.30** Музыкальный фестиваль в Юрмале. II тур **00.35 Детектив „Часы отчаяния" 02.35 Комедия „Дурной глаз".**

### PTP
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал „По имени Барон..." 10.45 Сериал „Цыган" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** „Чудотворец С. Саровский" **13.05** „Вся Россия" **13.20 Детектив „Марш Турецкого 2".** „Мертвый сезон в агентстве „Глория", 2с. **14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30, 03.10** Дорожный патруль **14.45** Вести - Москва **15.20** „Моя семья" **16.15** „Комната смеха" **17.15 Сериал „Простые истины" 18.20** „Сам себе режиссер" **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50** „Аншлаг" **20.50** Вести. Дежурная часть **21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55** „Валентина Леонтьева: сказка и быль" **22.40** Праздничный концерт **00.20** Праздничный концерт (продолжение) **01.00 Детектив „Тайна виллы" 03.25 Худ.фильм „Легенды Риты".**

### НТВ
**07.00** „Утро на НТВ" **10.10 Сериал „Жил-был я..." 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Без рецепта". Доктор Бранд **12.00** „Квартирный вопрос. Военно-полевой дизайн" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня" **13.30** Ток-шоу „Страна советов" **14.35 Сериал „Шатун", 4 с. 15.35** „Криминал" **16.35 Сериал „Семнадцать мгновений весны", 7 с. 18.25 Сериал „Скорая помощь 3" 19.25** „Команда.ru" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей".** „Макароны по скотски" **21.40 Худ.фильм „К северу через северо-запад" 00.25** Супербокс. Деррик Гейнер против Кевина Келли **01.20 Триллер „Темный город".**

# აქ ჰარი პოტერის ჯადოქრობაც უძლურია

მელორ სტურუა
საქ. კორ. ამერიკაში

ძველი, თუმცა აღარც ისე კეთილი ინგლისის ქალაქებსა და სოფლებში მისაბმელიანი ავტოფურგონი მოგზაურობს. ავტოფურგონში სამნი ცხოვრობენ; ისინი საველე სამზარეულოს დახლიდან ჰამბურგერებითა და სოსისებით - "ჰოთ დოგებით" ვაჭრობენ. გეზი ძირითადად ბაზრის, საფესტივალო ან სხვა მსგავს ტერიტორიებზე აქვთ აღებული, სადაც ღია ცის ქვეშ დიდი რაოდენობით ხალხი იყრის თავს. განსაკუთრებული მათ ცხოვრებასა და ბიზნესში არაფერი ხდება; ასევე ცხოვრობს და თავს ირჩენს ათასობით წვრილი ვაჭარი ინგლისში.

მითუმეტეს, სამეული, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, განსაკუთრებული და საოცარია. საქმე იმაშია, რომ ამ სამეულს შეადგენენ: პიტერ როულინგი, მისი მეორე ცოლი, ჯენეტი და ქალბატონის ძმა, დევიდ ჰანსი. და მერე რა, ვითომ? - იკითხავთ თქვენ. რა და, პიტერ როულინგი უბრალო მოგვარე კი არა, გამოჩენილი მწერალი ქალის - ჯეი ქეი როულინგის მშობელი მამაა, ავტორის კიდევ უფრო მეტად გამოჩენილი რომანების სერიისა პატარა სათვალეებიან ჯადოქარზე, ჰარი პოტერზე (სხვათა შორის, მწერლის მამაც სათვალეს ატარებს).

როულინგი ინგლისში ყველაზე მდიდარი ქალბატონი ბრძანდება. ის დედოფალ ელიზაბეთ მეორეზე მდიდარიც კია. ჟურნალი "ფორჩუნი" როულინგის სიმდიდრეს 470 მილიონ დოლარად აფასებს, ინგლისის დედოფლისას კი "მხოლოდ" 420 მილიონად. ფინანსურმა ჟურნალმა ეს გამოთვლები როულინგის ბოლო წიგნის ("ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი") გამოსვლამდე ჩაატარა. პირველივე დღეს ინგლისში ამ წიგნის 2 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, შეერთებულ შტატებში კი 5 მილიონი. მხოლოდ იმ ერთ დღეს მწერალმა 30 მილიონ დოლარზე მეტი გააკეთა, ანუ მისმა ქონებამ ნახევარ მილიარდს გადააჭარბა.

მაშ, რატომღა ცხოვრობს პიტერ როულინგი ავტოფურგონში, როცა მისი ქალიშვილი რამდენიმე კოშკის მფლობელია ინგლისსა და შოტლანდიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ დანარჩენ უძრავ ქონებაზე? რატომღა უხდება მას ტაფაზე ჰამბურგერის ტრიალი, ხახვისა და ფუნთუშის ჭრა, "ჰოთ დოგზე" მდოგვის წასმა, რომ როგორმე თავი გაიტანოს? რატომ არ შეუძლია ქალს, რომელიც დედოფალზე მდიდარია, მამამისს მეფური პირობები შეუქმნას? რატომ არ აქცევს არავითარ ყურადღებას ფილანტროპული გულუხვობით განთქმული მწერალი, გაღატაკებულ მშობელს? "მას არაერთხელ უფიქრია იმაზე, თუ რამდენად განსხვავებული იქნებოდა მისი ცხოვრება, ფანტასტიკურად იღბლიანი ქალიშვილი ოდნავ მაინც რომ დახმარებოდა" - ამბობენ მათი ნათესავები.

სანამ ჯეი ქეი "პოტერიანიდან" შემოსავალს ითვლის, მამამისი დღის ბოლოს ტაფას ცხიმს აშორებს. რატომ?

ინტრიგა აქაც საკმაოდ პოტერულია, თუმცა ჯადოქრობების გარეშე. როცა მწერალი ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, პიტერ როულინგი "როლს როისის" მწარმოებელ ქარხანაში საშუალო დონის მენეჯერად მუშაობდა. როულინგების ოჯახი - პიტერი, მისი პირველი ცოლი, ენი და მათი ორი ქალიშვილი, ჯეი ქეი და დი - ბედნიერად ცხოვრობდა. მამა ცივ ნიავს არ აკარებდა თავის ქალიშვილებს და მათ ხშირად უკითხავდა საბავშვო კლასიკას, მათ შორის ჩარლზ დიკენსის რომანებს, რომელიც მწერლის შემოქმედებაში მხატვრული ორიენტირი აღმოჩნდა.

როცა ჯეი ქეის თხუთმეტი წელი შეუსრულდა (როგორც ახლა მის ცნობილ გმირს), როულინგების ოჯახს თავს დიდი უბედურება დაატყდა. ექიმებმა ენს გაფანტული სკლეროზი დაუდგინეს. მალე ის აბსოლუტური ინვალიდი გახდა. პიტერი, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა მეუღლეს, ცდილობდა მისთვის ტკივილი და განცდები შეემსუბუქებინა, დიდ დროს ატარებდა ავადმყოფის ლოგინთან, რომელსაც გადაადგილების უნარი სრულიად დაკარგული ჰქონდა. მაგრამ ამავდროულად, პიტერმა რომანი გააბა მომხიბვლელ და სიცოცხლით სავსე ქალთან, ჯენეტ გელივენთან, რომელიც მასავით "როლს-როისში" მუშაობდა.

1990 წელს ენი გარდაიცვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ პიტერი და ჯენეტი თავიანთ ურთიერთობას გარშემომყოფებს აღარ უმალავდნენ. ჯეი ქეი, რომელიც მაშინ "ემნესთი ინთერნეიშენელში" მუშაობდა, ამ ამბავმა გააგიჟა. ნერვები წესრიგში, რომ მოეყვანა, მიატოვა სამსახური და პორტუგალიაში "გაიქცა". იქ 1992 წელს თავის პირველ მეუღლეს, არანტესს შეხვდა. მომავალი მწერლის უმცროსი და მათი ქორწილისთვის ჩავიდა პორტუგალიაში, პიტერი და მისი ახალი ცოლი კი არა, მაგრამ ეს არც პროტესტის გამომხატველი ჟესტი იყო და არც იგნორირების. პიტერი თვლიდა, რომ მისი უფროსი ქალიშვილი შოკიდან მთლად გამოსული არ იყო და არ უნდოდა მისთვის ტრამვა მიეყენებინა, მითუმეტეს ქორწილის დღეს. მაგრამ, როცა კი როულინგი არანტესს გაშორდა, მარტოხელა დედა გახდა და თავისი პირველი წიგნის წერას შეუდგა ჰარი პოტერზე "სადღაც შოტლანდიაში", მაშინ მამამისი ხშირად ნახულობდა ქალიშვილს, ეხმარებოდა და ამხნევებდა მის მწერლურ დებიუტს. როულინგმა მას მიუძღვნა კიდეც თავისი მეოთხე "პოტერიანა".

2001 წლის დეკემბერში როულინგი მეორედ გათხოვდა, ახლა დოქტორ ნეილ მერეიზე. მათ ბიჭი გაუჩნდათ, რომელსაც სახელად, არა, ჰარი კი არა, დევიდი დაარქვეს. და მამასა და ქალიშვილს შორის თითქოს ისევ შავმა კატამ გაირბინა. მამის მიმართ გულგრილობას როულინგის ახლობლები და ნათესავები იმით ხსნინ, რომ მწერალი "მთლად ჩაითრია ახალმა ოჯახმა, სამუშაომ, პატარა დევიდმა და იმან, რომ ჰარი უკვე თინეიჯერი გახდა, რაც ჯეი ქეის დიდ დროს ართმევს". მეორე მხრივ, ისინი ამბობენ, რომ "პიტერს ძველებურად უყვარს შვილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის გამდიდრდა და სახელი გაითქვა, მამას უჭირს მასთან ურთიერთობა. მათი ცხოვრების წესი უკვე ძალინ განსხვავებული გახდა." აბა რა იქნებოდა!

მას მერე, რაც პიტერ როულინგი სამსახურიდან წამოვიდა, მისი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა. მაგრამ ის არ ნებდება! პიტერიცა და მისი ცოლიც სიცოცხლით სავსე ხალხია, მეგობრული. ჰამბურგერებისა და სოსისების გამყიდველობა სულაც არ ეთაკილებათ.

და მაინც, მაინც...

რა მოუვა ჯადოქარს, ჰარი პოტერს, კიდევ ერთი კეთილი საოცრება რომ მოახდინოს?! - თავის შემქმნელს გულუხვი ნაბიჯი გადაადგმევინოს მამისაკენ; გამოწეროს მის სახელზე ჩეკი - იმდენი თანხა, რამდენიც პიტერს საშუალებას მისცემდა აღარ ევაჭრა ჰამბურგერებითა და "ჰოთ დოგებით". აი ეს უკვე საკმაოდ დიკენსური იქნებოდა, რომელსაც მამა ჯეი ქეის ადრეულ ბავშვობაში უკითხავდა და რომელიც მისი ვარსკვლავი გახდა ლიტერატურაში გზის გასაკვლევად.



როულინგი ავტოგრაფებს არიგებს

REUTERS



"პოტერიანას" უკანასკნელი წიგნის პრეზენტაცია

REUTERS



მეოთხე წიგნი ჰარი პოტერის შესახებ


როულინგი თავის დედოფალზე უფრო მდიდარია

ოჯახური ინტერესების დაცვის სასამართლო
ქალაქი: რიშონ-ლეციონი, ისრაელი

**საქმე: 61/02; ბავშვთა შვილება-გაშვილების თაობაზე**

**ეხება მოქალაქე: ეხიზკელაშვილი ბესარიონი (ბენი), საქართველო, მისამართი უცნობია**

განხილვა: მოზარდი დაბადებული 29.03.1998 წ.

ანწყო დროით იურისტის ძალების ჩარევით აღძრულია საქმე ქალაქ რიშონ-ლეციონის ოჯახური ინტერესების დაცვის სასამართლოში თხოვნით ბავშვთა შვილება-გაშვილებასთან დაკავშირებით პუნქტი 7(13) და პუნქტი 13(5) 1981 წელი. სასამართლო მოითხოვს აგრეთვე 29.03.1998 წელში დაბადებული ბიჭის შვილება-გაშვილების სრულუფლებიანობას.

დადგენილია სასამართლო პროცესი 10.09.2003 დილის 09:15 საათზე პატივცემული მოსამართლის შ. ბუკოვსკის წარდგენით ქალაქ რიშონ-ლეციონში ოჯახური ინტერესების დაცვის სასამართლოში, ისრაელ გალილის ქუჩა #5. სასამართლოს მოწვევით თქვენზეა ვალდებულება გამოცხადდეთ აღნიშნულ მისამართზე დანიშნულ დროს.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში ვალდებული ხართ წერილობითი სახით წარადგინოთ იურიდიული დეკლარაცია; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელეს სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცემა თქვენი მშობლობიდან განდევნის, გარიყვის სრულუფლებიანობა.

მიხალ ბიტონი
ბავშვთა შვილება-გაშვილების განყოფილების მსახური.







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.